პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 41 (10435) | შაბათი, 18 თებერვალი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

ყრილობის დილისა და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის, ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. პ. გ. სმირნოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ყრილობის დღიური

16 თებერვლის საღამოს სხდომა

ყრილობის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. **ნ. ს. პატოლიჩევი.** კამათში პირველი გამოვიდა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე** (საქართველოს პარტორგანიზაცია). მთელი საბჭოთა ხალხი, კომუნისტები და უპარტიოები, შრომისა და მეცნიერების ადამიანები, ამბობს იგი, სულით და გულით იწონებენ და თანაითანთ შრომითი საქმეებით აქტიურად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი კვლავაც ასევე ბრძნულად და წინდახედულად, გაბედულად, შეუპოვრად და მტკიცედ წაიყვანს ჩვენს ხალხს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის. პარტიის XX ყრილობის მოწვევამ ქართველი ხალხის პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. საქართველოს მშრომელებს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტი მიაჩნიათ საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნული რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის პარტიის ზრუნვის ახალ მკაფიო გამოვლინებად.

ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს საქართველოს მშრომელთა წარმატებებზე. მაგალითად, გასულ ხუთ წელიწადში საქართველოში საერთო პროდუქციის მოცულობა 73 პროცენტით გადიდდა, აუშავდა 100-ზე მეტი სამრეწველო საწარმო. მაგრამ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის საკმაოდ ღრმად, კონკრეტულად და ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს. იდეოლოგიური მუშაობის არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებიც აღნიშნულია ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებაში, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციასაც აქვს.

საქართველოს კომუნისტები, მშრომელები, ამბობს ამხ. მჟავანაძე, მზად არიან შეასრულონ კომუნისტური პარტიის ყველა დავალება, მთელი თავისთი ძალები, ცოდნა და ენერგია მოახმარონ იმისათვის ბრძოლას, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმმა სრული გამარჯვება მოიპოვოს.

სიტყვა ეძლევა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ვ. ულბრიხტს.** დელეგატები მას ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან. იგი ამბობს:

— ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო! გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გერმანიის მუშათა კლასისა და მთელი პატრიოტული ძალების სახელით გულითადად, ძმურ მებრძოლურ სალამს უძღვნის XX ყრილობას!

საბჭოთა კავშირის ხალხების წარმატებები და სოციალისტურ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა ბანაკის ზრდის შესანიშნავი პერსპექტივები გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისათვის, ყველა მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ადამიანისათვის სტიმულია მათს ბრძოლაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა და მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ძადლობელი არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ მიმართული ინიციატივის გამოჩენისათვის.

ამხ. ულბრიხტი ლაპარაკობს, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ და ინტელიგენციამ თავიანთი სახალხო სახელმწიფოს მშენებლობაში. პირველ ხუთწლედში (1951-1955 წლები) მშრომელთა ინიციატივის მეოხებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ერთიორად გადიდდა ომამდელ დროსთან შედარებით (1936 წ.). სასოფლო-სამეურნეო წარმოება ამ წლებში 144 პროცენტით გადიდდა.

შემდეგ ამხ. ულბრიხტი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა შორის გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობას ეკონომიკის დარგში.

ამხ. ულბრიხტი თავის სიტყვას ამთავრებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებიდან მოყვანილი სიტყვებით:

„გერმანია-საბჭოთა კავშირის მჭიდრო და ურღვევი მეგობრობა ჩვენი ხალხისათვის წარმოადგენს გერმანელი ერის სასიცოცხლო საკითხთა გადაჭრის საწინდარს. მიესალმება რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია გულითად მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს მუდმივი და უანგარო დახმარებისათვის. ჩვენ საბჭოთა კავშირის ხალხებს სულით და გულით ვუსურვებთ შემდგომ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში“.

დარბაზში იგრიალა ტაშმა, როცა ამხ. ულბრიხტმა გამარჯვება უსურვა გერმანელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ მეგობრობას, ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის საბრძოლო სოლიდარობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ა. ი. მიქოიანმა.**

ამხ. **ბ. გაფუროვი** (ტაჯიკეთის პარტორგანიზაცია) ამბობს, რომ კომუნისტური პარტია XX ყრილობას შეხვდა თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმული.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით, ამბობს ორატორი, ცენტრალური კომიტეტის მაღალ პრინციპულობას მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ყოველი დამახინჯებისაგან დაცვის საქმეში. ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ იმას, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა გააძლიერა მომთხოვნელობა ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობისადმი.

შემდეგ ამხ. გაფუროვი ამბობს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს იდეოლოგიური მუშაობა. იგი აღნიშნავს პროპაგანდის მოწყვეტას პრაქტიკული ცხოვრებისაგან, აკრიტიკებს მწერლებს იმის გამო, რომ ისინი თავიანთ ნაწარმოებებში არ აშუქებენ საბჭოთა ადამიანების საქმეთა სიდიადეს.

ორატორი მოუთხრობს ყრილობას ტაჯიკეთის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე. კომპარტიის ყრილობამ, რომელიც რესპუბლიკაში გაიმართა, დაავალა დელეგატებს პირობა მისცენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას, რომ ტაჯიკეთის კომუნისტები მეექვსე ხუთწლედში მეურნეობისა და კულტურის შემდგომ მძლავრ განვითარებას მიაღწევენ. ახლა რესპუბლიკაში გაჩაღებულია შეჯიბრება იმისათვის, რომ 1960 წელს საშუალოდ ჰექტარზე 40 ცენტნერი ბამბა მოიყვანონ. ბამბის ნათესების ფართობი 1960 წელს გადიდდება დაახლოებით 80 პროცენტით, ხოლო ნედლი ბამბის საერთო მოსავალი გადიდდება 1 მილიონ ტონამდე. (საკდესი).

17 თებერვლის დილის სხდომა

17 თებერვლის დილის სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძის** თავმჯდომარეობით, გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

ამ დღეების განმავლობაში ყრილობის ტრიბუნიდან ილაპარაკეს პარტიის უდიდესი ორგანიზაციების — მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინისა და ბელორუსიის, უაზახეთისა და უზბეკეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის, ლატვიისა და სვერდლოვსკის, გორკის და ალტაის მხარის და მრავალი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. ყველა გამოსვლა მკაფიოდ მოწმობს პარტიის ურღვევ ერთიანობას, მის დარაზმულობას ცენტრალური კომიტეტის გარშემო. დელეგატები კანონიერი სიამაყით აცხადებენ, რომ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით თავისი XIX ყრილობის შემდეგ პარტიამ უდიდესი მუშაობა გასწია. ისინი ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა ნ. ს. ხრუშჩოვმა, მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, მეცნიერულად განზოგადებულია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შედეგები, დასახულია საბჭოთა ხალხის შემდგომი წინსვლის, კომუნიზმის მშვენერვალებისაკენ წინსვლის პროგრამა.

პარტიის ყრილობის მუშაობას უდიდესი აქტივობით განამტკიცებს მთელი ხალხი, რომელიც გამოხატავს თავის უსაზღვრო მხარდაჭერას პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკისადმი, მისი გენერალური ხაზისადმი. საბჭოთა ქვეყანაში მაღლა ფრიალებენ ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ნიშნები. მთელ მსოფლიოში გაისმის შახტებისა და ქარხნების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების, მეცნიერთა ლაბორატორიებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითი სალუტი მშობლიური კომუნისტური პარტიის ყრილობისადმი.

... დილის სხდომაზე პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. **ვ. მ. სუსლოვს** (კრასნოდარის პარტიული ორგანიზაცია). იგი აღნიშნავს, რომ XIX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში საბჭოთა კავშირის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო განამტკიცეს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, აამაღლეს მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, ახალი ნაბიჯი გადადგეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით. პარტიის ორგანიზატორული მუშაობის შესანიშნავი შედეგია მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით და ვადამდე შესრულება.

ამხ. სუსლოვმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, ამბობს იგი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის ახალი წესის შესახებ. ამ დადგენილებამ საშუალება მოგვცა უფრო სრულად გამოგვყენებინა არსებული შესაძლებლობანი და რეზერვები, რასაც მოწმობს, კერძოდ, ყუბანის მაგალითი. გასულ წელს კრასნოდარის მხარეში მიღებულია 20 პროცენტით და კიდევ უფრო მეტი მარცვლეული, ვიდრე წინა წელს. ეს მიღწეულია სიმინდის ნათესების მნიშვნელოვანი გაფართოებისა და მისი მოსავლიანობის გადიდების მეოხებით. მნიშვნელოვნად გადიდდა შაქრის ჭარხლის, კანაფის, ბოსტნეულის, ყურძნის, ხორცის, მატყლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. გადიდდა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები და კოლმეურნეთა შემოსავალი. მხარეში ახლა თითქმის ყველა კოლმეურნეობა მილიონერია.

შემდეგ ამხ. სუსლოვი ლაპარაკობს ყუბანის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე. იგი აცხადებს, რომ უკვე მომდინარე წელს შეიძლება ხორცის წარმოება ერთიორად გადიდდეს 1955 წელთან შედარებით; 1957 წელს ხორცის წარმოება გადიდდება სამჯერ, რძისა — ერთიორად, კვერცხისა — ოთხჯერ. ამით მეექვსე

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. პ. ტარასოვმა ლენინის ორდენი, მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ და საბჭოთა კავშირის გმირის სიგელი გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს, რომელიც დაჯილდოებულია თვალსაჩინო დამსახურებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს დაცვაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა გულთბილად მიულოცეს კ. ე. ვოროშილოვს მაღალი ჯილდო და უსურვეს ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებანი სახელმწიფოებრივ და პარტიულ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

მიიღო რა ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის წარჩინების ნიშნები, კ. ე. ვოროშილოვმა მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის და განაცხადა, რომ მთელ თავის ძალებს მოახმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. (საკდესი).

* * *

ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ლენინის ორდენები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. მ. დ. ჩუბინიძეს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ზ. ი. მურატოვს, რომლებიც დაჯილდოებული არიან დაბადების 50 წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის.

ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა ტულთბილად მიულოცა ამხანაგებს მ. დ. ჩუბინიძესა და ზ. ი. მურატოვს მაღალი ჯილდო და უსურვა მათ ახალი წარმატებანი მუშაობაში. (საკდესი).

საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას პარტიის XX ყრილობისადმი

სამშობლოს საღიდებლად

ბათუმი. (საკ. კორ.). სამრეწველო საწარმოებსა, აჭარის ასსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმაღალითო შრომითი ალმავლობით აღინიშნავენ პარტიის XX ყრილობის მუშაობის ისტორიულ დღეებს.

გუშინ მანქანათმშენებელ ქარხანაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი პარტიის XX ყრილობის მუშაობისადმი. ინფორმაციით გამოვიდა ქარხნის დირექტორი ი. ნოღაიდელი. ტრიბუნაზე იგი შეცვალა წარჩინებულმა ბრიგადირმა გ. დავითიანმა.

— გული სიამის გრძნობით ივსება, — თქვა მან, — როცა ეცნობი პარტიის XX ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებას. მშობლიური კომუნისტური პარტიის შეუნელებელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ჩვენ ვუპასუხებთ ახალი შრომითი მიღწევებით.

ბათუმის გემშემკეთებელ ქარხანაში მიტინგზე სიტყვით გამოსულმა მოწინავე მეყალბე ჩამომსსმელმა კომუნისტმა ი. დვალიშვილმა მხურვალე პატრიოტული აღფრთოვანება გამოთქვა ყრილობის მუშაობის მიმდინარეობით და იკისრა ყოველდღიურად ორი ნორმის შესრულება.

შეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობიან პარტიის XX ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებას.

სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატში შედგა ყრილობისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი. ყრილობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა კომბინატის დირექტორი ა. ღვინჯილია. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სიტყვას ამბობს ფაბრიკის მოწინავე ადამიანი ნ. ვარუშჩევი.

— საბჭოთა ხალხი, — თქვა მან, — კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ძლევამოსილად აშენებს კომუნიზმის ნათელ შენობას. ჩვენ, მეფეხსაცმლეები არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას სათანადო წვლილი შევიტანოთ პარტიის მიერ დასახულ დიად მშენებლობათა პროგრამის განხორციელებაში. პირობას ვიძლევი მიმდინარე წლის ჩემი პირადი გეგმა 2 თვით ადრე შეავსრულო.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა მოწინავე მუშამ ნ. მაჭსიმენკომ იკისრა ყოველდღიური დავალება 150-160 პროცენტით შეასრულოს.

კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამით აღფრთოვანებულმა კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება აიღო საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 10 დეკემბრისათვის გაანაღდოს, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 25 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, გასწიოს 200 ათასი მანეთის ტყავის მასალის ეკონომია, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 5,5 პროცენტის გადაჭარბებით.

გადიდებული ვალდებულებები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გახსნას და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებას.

აბრეშუმკომბინატში გამართულ ხალხმრავალ მიტინგს 1.500-მდე ფეიქარი დაესწრო. პატრიოტული სიტყვით გამოვიდა მრავალდაგზანი მქსოველი ს. შარაბიძე.

— კომუნისტური პარტია, — განაცხადა მან, — განუწყვეტლივ ზრუნავს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სიტყვას ვიძლევი ამ ზრუნვას ვუპასუხო მაღალნაყოფიერი შრომით, ყოველდღიური დავალებები შევასრულო 120 პროცენტით.

მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიადი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობებით იყო გამსჭვალული მიტინგზე გამოსულ სხვა ორატორთა სიტყვები.

დიდი აღმავლობით ჩაიარა მიტინგმა სამკერვალო ფაბრიკაში. ამ ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა 2 კვირით ადრე შეასრულოს 1956 წლის გეგმა, ერთნაბეკარი პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, 5 პროცენტით აამაღლოს შრომის ნაყოფიერება.

მიტინგი სტალინის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ორთქლმავალთა ამწყობ საამქროში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. მიტინგი მიეძღვნა პარტიის XX ყრილობის მუშაობას.

— უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ჩვენი ქარხნის კოლექტივი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებას, — განაცხადა ქარხნის დირექტორმა ამხ. გ. მაცაბერიძეს, რომელმაც ინფორმაცია გაუკეთა მიტინგის მონაწილეებს ყრილობის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. — მოხსენებაში შეჯამებულია გმირი საბჭოთა ხალხის მიერ XIX ყრილობის შემდეგ როგორც სახალხო მეურნეობაში და კულტურულ მშენებლობაში, ისე მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში მოპოვებული ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი გამარჯვებები.

ტრიბუნაზეა მოწინავე ზეინკალი პ. ბედენაშვილი. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მეექვსე ხუთწლედში შემცირდება სამუშაო დღე, მნიშვნელოვნად ამაღლდება მუშაობისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი, მუერიტ-ხელფასიანებს გაუდიდდებათ ხელფასი, უკეთ იქნებიან უზრუნველყოფილი პენსიონერები. ყოველივე ეს უდიდესი სიხარულის გრძნობით აღავსებს მშრომელთა გულს და მოწმობს იმას, რომ კომუნისტური პარტია შეუნელებლად ზრუნავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამხ. ბედენაშვილი ამბობს, რომ მისმა ბრიგადამ 14 თებერვლისათვის — ყრილობის გახსნის დღისათვის თვის დავალება გაანაღდა და ახლა კისრულობს თებერვლის ბოლოსათვის შეასრულოს კვარტალის გეგმა.

საანგარიშო მოხსენებით აღფრთოვანებული მექვაბე ნ. ივაშკო კისრულობს ყოველდღიური ნორმიები ორმაგად გაანაღდოს.

ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა გ. სიმონიანმა თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო საანგარიშო მოხსენების იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, და პასუხსაგებ ამოცანებზე, რომლებიც ქარხნის კოლექტივის წინაშე ისახება.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დასახულ შემოქმედებითი მუშაობის უდიდეს პროგრამას.

ქარხნის კოლექტივი ყველა ღონისძიებას იხმარს იმისათვის, რომ წარმატებით გაანაღდოს ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები — ვადამდე შეასრულოს წლიური დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვას ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია, მარტო თებერვალში კი — 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

მეჯი ღითონდასამუშავებელი ჩარხი სამშობლოს

გუშინ დილით კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ეზოში თავი მოიყარეს ჩარხმშენებელმა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გოგელიძემ. ყრილობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი დ. გოგიჩაძე.

—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, — თქვა მან, — უდიდესი მოვლენაა საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრობის ცხოვრებაში. ჩვენი ქარხნის კოლექტივი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებას, რომელშიც შეჯამებულია უდიდესი მიღწევებნი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, დასახულია ახალი გრანდიოზული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას, მკვეთრად აამაღლებს მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონეს. ჩვენი ქარხნის კოლექტივი, როგორც ყოველთვის, პირნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ საპატიო მოვალეობას, სოციალისტურ მრეწველობას მიაწვდის კიდევ უფრო მეტ და საუკეთესო ხარისხის ლითონდასამუშავებელ ჩარხებს.

მეჯალურგთა სიტყვა

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქროში, აზოტოვანი სასუქების ქარხნისა და ქალაქის სამშენებლო ობიექტებზე იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც რუსთავის მშრომელები ღრმა ინტერესით ეცნობიან XX ყრილობის მასალებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებას და ერთსულოვნად იწონებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას.

მარტენის საამქროში გამართულ მიტინგზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენება მეფოლადეებს გააცნო ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ ს. შარაძენიძემ.

— ნათელი ფაქტები და ციფრები, რომლებიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საანგარიშო მოხსენებაში მოიყვანა, — განაცხადა მეფოლადე ზ. ყაველაშვილმა, — აშკარად მოწმობენ, თუ რა გიგანტური ნაბიჯებით მიდის ჩვენი ქვეყანა კომუნიზმისაკენ. თვითეული საბჭოთა მოქალაქის ვალია არ დაიშურის ძალა და ენერგია ამ ნათელი მიზნის წარმატებით განხორციელებისათვის. პირადად მე ჩემი ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ 1956 წელს დნობათა 90 პროცენტი ჩქაროსნული მეთოდით განავახორციელო და გეგმის გადამეტებით მივცე სამშობლოს 2 ათასი ტონა ფოლადი.

— მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ამოცანა, — ამბობს ოსტატი ზ. კვახაძე, — რასაც პარტიის XX ყრილობა გვისახავს, ჩვენგან, მეფოლადეებისაგან, მოითხოვს საწარმოო სიმძლავრეთა უფრო რაციონალურად გამოყენებას და წარმოებაში ტექნიკური პროგრესის გაბედულად დარერგვას. კერძოდ მემარტენეებს განზრახული გვაქვს ახალ ხუთწლედში მარტენის ყველა ღუმელს გავუკეთოთ ქრომმაგნეზიანი თაღი, გავფართოოთ ბოყვების ეზო, გავადიდოთ სამსხმელო ამწეების ტვირთამწეობა, გადავიდეთ ღუმელების ორთქლით გაცივების სისტემაზე, მათი ტევადობა ავიყვანოთ 150 ტონამდე და ავითვისოთ ენგბიდის გამოყენებით ფოლადის გამოდნობის ახალი ტექნოლოგია.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მეფოლადეებმა ი. მეტრეველმა, თ. ბარბაქაძემ, ჩამტვირთავმა გ. ხუციშვილმა და სხვებმა.



სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიტინგი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი. ტრიბუნაზეა მოწინავე ზეინკალი პავლე ბედენაშვილი.

ფოტო შ. ხხეტიანისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ყრილობის დღიური

(დასასრული)

ხუთწლედის დავალება შესრულდება ორი წლის განმავლობაში.

სიტყვას ამბობს ამხ. მ. ტორეზი, რომელსაც ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. მან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას მხურვალე და მეგობრული სალამი გადასცა საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის მშრომელებისაგან.

მშრომელი მასები, მთელი მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი, ამბობს ამხ. ტორეზი, ენთუზიაზმით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლეობის გეგმის შესახებ დირექტივების პროექტს. ისინი ხედავენ, რომ საბჭოთა ხალხი თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კაფავს გზას ბრწყინვალე მომავლისაკენ, საყოველთაო სიუხვისა და ბედნიერების საზოგადოებისაკენ. საბჭოთა კავშირის შთამაგონებელი მაგალითი ცხადყოფს, რომ ქვეყნის საწარმოო ძალების გეგმაზომიერი განუწყვეტელი განვითარება და მშრომელთა მდგომარეობის ძირეულად შეცვლა, მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დაკავშირებულია ძალაუფლების გადასვლასთან მუშათა კლასის ხელში.

ლაპარაკობს რა საბჭოთა კავშირის აქტიურ ბრძოლაზე მშვიდობისათვის, ამხ. ტორეზი აცხადებს, რომ ფრანგი ხალხის მადლიერება და სიმპათიები სსრ კავშირის მიმართ არასოდეს არ ყოფილა ისე ღრმა, ომის თავიდან აცილების შესაძლებლობისადმი რწმენა არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ახლა, სოციალისტური ბანაკისა და მშვიდობისათვის მებრძოლ საბჭოთა მზარდი ძალის მეოხებით.

ამხ. ტორეზი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის კომუნისტები მშვიდობისა და თავიანთი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში დაუცხრომლად შრომობენ, რათა შექმნან მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობა, სოციალისტებისა და კომუნისტების მოქმედების ერთიანობა. სწორედ მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობისათვის ბრძოლაში საფრანგეთის კომპარტიამ მიაღწია მასებში თავისი გავლენის ზრდას, მოიპოვა რა დიდი წარმატებანი პარლამენტის 2 იანვრის არჩევნებში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, ამბობს დასასრულ ამხ. ტორეზი, შთაგონებულია საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის მეოდარი გამოცდილებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაგალითი-სამებრ ფრანგი კომუნისტები მუდამ იზრუნებენ თავისი ხალხის ბედნიერებისათვის, ისინი იბრძოლებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ საფრანგეთის ხალხის მომავალი, რომელიც შეესაბამება მის დიდი რევოლუციურ ტრადიციებს.

სიტყვა ეძლევა ამხ. პ. ტოლიატის. ტრიბუნაზე მის გამოჩენას დელეგატები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ამხ. ტოლიატი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას გადასცემს იტალიის კომუნისტური პარტიის, იტალიის მუშათა კლასის, იტალიელი ხალხის მთელი დემოკრატიული და პროგრესული ნაწილის მხურვალე ძმურ სალამს. იგი ამბობს, რომ ახლა იტალიაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ყრილობისაკენ მიმართულია არა მარტო კომუნისტების, არამედ აგრეთვე მრავალი მილიონი მშრომელის — არაკომუნისტების თვალი და ფიქრები. თქვენი საქმეები მათ გულს აღავსებს იმედითა და რწმენით, აცხადებს ამხ. ტოლიატი. მათ იციან, რომ თქვენი გადაწყვეტილებები თქვენი დიადი პარტიის ახალი შესანიშნავი წვლილი იქნება ექსპლოატაციისა და კაპიტალიზმის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმის გამარჯვებაში, დემოკრატიისა და მშვიდობის საქმის გამარჯვებაში.

შემდეგ ამხ. ტოლიატი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეთოდები, რომლებითაც ყრილობის დელეგატები განიხილავენ მათ წინაშე მდგომ საკითხებს, გაბედულად აკრიტიკებენ რა მუშაობის ნაკლოვანებებს, მაგალითია ნამდვილი დემოკრატიზმისა, რომლის დროსაც ხალხის ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ.

ჩვენ მუდამ ვისწრაფოდით, აცხადებს ორატორი, ვყოფილიყავით მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ერთგულნი, მჭიდროდ ვყოფილიყავით დაკავშირებული ხალხთან, მშრომელი მოსახლეობის ყველა ფენასთან ფაბრიკებში, მინდვრებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში. სწორედ ამან მოგვცა საშუალება თითქმის 20 წლის არალეგალური მოღვაწეობისა და 2 წლის პარტიზანული ბრძოლის შემდეგ შეგვექმნა მძლავრი პარტია, რომელსაც უღრმესი ფესვები აქვს მუშებში, გლეხებში, ხალხში. ჩვენს პარტიაში, აგრეთვე ახალგაზრდათა ორგანიზაციებში, 2,5 მილიონი წევრია, რომელთაგან ნახევარი მილიონი ქალია.

ამხ. ტოლიატი აღნიშნავს, რომ იტალიის მუშათა კლასმა დიდ წარმატებებს მიაღწია თავისი ერთიანობის განხორციელებაში, რომელიც გამოიხატება, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური პარტიის ძმური თანამშრომლობით.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ტოლიატი ამბობს:

— აქ, ყრილობაზე, ჩვენ შევიძინეთ ჩვენი საქმის, სოციალიზმის საქმის უძლეველობის ახალი რწმენა. ამ რწმენას გადავცემთ ჩვენს მუშებს, გლეხებს, კულტურის მოღვაწეებს, ყველა უბრალო ადამიანს, რომლებსაც სურთ იცხოვრონ უკეთეს მსოფლიოში. ჩვენ გავუძღვებით მათ უკეთესი მსოფლიოსათვის საბრძოლველად, გავაძლიერებთ მშრომელთა რიგებს, რომლებიც ირაზმებიან სოციალიზმის დროშის ქვეშ.

ამხ. **ა. ი. სნეჩკუსი** (ლიტვის პარტორგანიზაცია) ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ღრმა აზრები ახლა ვრცელდება საბჭოთა ლიტვის ქალაქებსა და სოფლებში. დიდ რუს ხალხთან, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან მჭიდრო თანამეგობრობით ლიტველმა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

ამხ. სნეჩკუსი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის დიადი პრინციპების გამარჯვებაზე. ლიტველმა ხალხმა, რომელიც დიდი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია, მოიპოვა ნამდვილი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა.

სიტყვა ეძლევა **ამხ. ფ. ე. ტიტოვს** (ივანოვოს პარტორგანიზაცია), რომელიც დაწვრილებით ჩერდება ივანოვოს ოლქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე მრეწველობის, განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობის ხელმძღვანელობის დარგში, რომელიც წამყვანია ოლქში. ივანოვოს ოლქი, თქვა მან, იძლევა ჩვენს ქვეყანაში გამოშვებული ბამბისა და შტაპელის მთელი ქსოვილების დაახლოებით 30 პროცენტს.

შეეხო რა ოლქის მრეწველობის მუშაობის ნაკლოვანებებს, ორატორმა აღნიშნა, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია ღრმად არ სწვდებოდა წარმოების ეკონომიკას, ვერ უზრუნველყო საჭირო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, სუსტად რაზმავდა კოლექტივებს წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის საბრძოლველად.

პარტიის XIX ყრილობის შემდეგ, ამბობს ამხ. **ნ. ნ. ორგანოვი** (კრასნოიარსკის პარტორგანიზაცია), კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე მიღწეულია უდიდესი წარმატებები. ჩვენი პარტია კიდევ უფრო განმტკიცდა, კიდევ უფრო მჭიდროდ დაიკრაზმა ცენტრალური კომიტეტის გარშემო, შეუსისხლხორცდა ხალხს. ცენტრალური კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი, საბჭოთა მთავრობა მუდამ ეთათბირებიან უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მშრომელთა ფართო მასებს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიის კავშირს მასებთან, განამტკიცებს პარტიის ურღვევ ერთიანობას ხალხთან.

ამხ. ორგანოვი კრასნოიარსკის მხარის მაგალითით ცხადყოფს კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს. მხარეში ახლად შეიქმნა ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, იზრდება მანქანათმშენებლობა, ქვანახშირისა და სატყეო მრეწველობა. სამეურნეო და კულტურული ზრდის კიდევ უფრო წარმტაცი პერსპექტივები ისახება ახალ ხუთწლედში. დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები კრასნოიარსკის გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურის, ალუმინის კომბინატის მშენებლობისათვის, აიგება ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და მთელი რიგი სხვა დიდი საწარმოები.

ამხ. **ა. ნ. ნესმეიანოვმა** (მოსკოვის პარტორგანიზაცია) თავისი სიტყვა მიუძღვნა მეცნიერების ამოცანებს.

პარტიამ და მთავრობამ, ამბობს იგი, ბევრი რამ გააკეთეს მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და მისი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. შექმნილია მთელი რიგი ახალი საკვლევი ინსტიტუტები, რომლებიც აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, მათ შორის ისეთი უნიკალური ინსტიტუტები, როგორიც არის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემათა ინსტიტუტი, ელექტროფიზიკური ლაბორატორია და სხვ.

მომავალში ჩვენ უნდა დავეუფლოთ თერმოატომგულის რეაქციების რეგულირებას, რის შედეგად, უნდა იმედი ვიქონიოთ, რეაქციები, რომლებიც წყალბადის ბომბში მიმდინარეობს და მათი მსგავსი რეაქციები მშვიდობიანი მიზნების სამსახურში იქნება ჩაყენებული. წარმატებით ხორციელდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში იზოტოპების გამოყენების შესწავლა.

მეცნიერებათა აკადემიის ძირითადი ამოცანა, აღნიშნავს ორატორი, უნდა იყოს ბუნებისა და საზოგადოების ახალი მიგნებების პოვნა და შესწავლა. საჭიროა მეექვსე ხუთწლედში გაძლიერებით განვავითაროთ თეორიული მუშაობა და, უწინარეს ყოვლისა, ფიზიკა-მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მეცნიერებათა კომპლექსები. მათ უნდა გააშუქონ ახალი ტექნიკისა და წარმოების გამოუკვლეველი მომავლის გზა.

ამხ. **ა. ი. სტრუევმა** (მოლოტოვის პარტორგანიზაცია) თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის, ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ უახლოესი წლებისათვის დასახული უდიდესი სახალხოსამეურნეო პრობლემების თეორიულად დასაბუთებული განხილვის საფუძველზე დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად მიდის ლენინური გზით.

შეეხო რა მოლოტოვის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, ორატორმა აღნიშნა ზოგიერთი წარმატებანი, რომლებსაც ოლქმა მიაღწია განვლილ ხუთწლედში.

ამხ. სტრუევმა შემდეგ აღნიშნა, რომ მოლოტოვის ოლქს აქვს შესაძლებლობა უფრო სწრაფი ტემპით განავითაროს ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით. მან პრეტენზიები წარუდგინა, კერძოდ, ფერადი მეტალურგიის, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის, ქიმიური მრეწველობის სამინისტროებს, რომლებიც სუსტად ეხმარებიან ოლქს მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებაში.

ამხ. **გ. ა. დენისოვი** (სარატოვის პარტორგანიზაცია) აღნიშნავს, რომ ჩვენი პარტიის საშინაო ცხოვრება ამჟამად განსაკუთრებით სისხლსავსე და აქტიური გახდა.

თავისი სიტყვის მეტი ნაწილი ამხ. დენისოვმა მიუძღვნა ოლქის მრეწველობის მუშაობას, რომლის პროდუქცია გასულ ხუთწლედში 1950 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდა. ორატორი აღნიშნავს, რომ ოლქის მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ელექტროენერგიის ნაკლებობა. ამასთან დაკავშირებით იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა დაჩქარდეს სარატოვის მეორე თბოელექტროცენტრალის მშენებლობის ვადები და გაყვანილ იქნას სარატოვამდე მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი კუიბიშევის ჰესიდან.

ამხ. **ა. ა. სურკოვმა** (მოსკოვის პარტორგანიზაცია) თავისი სიტყვა მიუძღვნა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საკითხებს. იგი ლაპარაკობს კულტურის მოღვაწეთა მაღალ მოვალეობაზე, რომლებიც მოწოდებული არიან დაეკმაყოფილონ საბჭოთა ადამიანების დიდი სულიერი მოთხოვნილებანი, დაეხმარონ პარტიას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება, განაცხადა ამხ. სურკოვმა, მოვალენი არიან სრულყოფილი გახდნენ არა მარტო შინაარსის სიმდიდრით, არამედ აგრეთვე მხატვრული ძალითა და ოსტატობით. საბჭოთა მწერლებმა კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ თავიანთი შემოქმედება ხალხს, ღრმად იცნობდნენ მის ცხოვრებას.

რუმინეთის მუშათა პარტიის, მუშათა კლასისა და მთელი რუმინელი ხალხის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **გეორგიუ-დეჟი,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულ ღრმა თეორიულ დებულებებსა და პრაქტიკულ დასკვნებს ჩვენს ეპოქაში ომების თავიდან აცილების კონკრეტული შესაძლებლობების, სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, სხვადასხვა ქვეყანაში კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ფორმების შესახებ, — ყოველივე ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ამხ. გეორგიუ-დეჟი შემდეგ ამბობს, რომ სახალხო-დემოკრატიული წყობილების არსებობის წლებში რუმინეთის მშრომელებმა გადამწყვეტ წარმატებას მიაღწიეს სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლების მშენებლობაში. რუმინეთის მუშათა პარტიის ყრილობამ, რომელიც გასული წლის დეკემბერში გაიმართა, დასახა სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განუწყვეტელი განვითარებისა და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის უზრუნველყოფის ამოცანა.

რუმინეთის მუშათა პარტია როგორც ხალხის ფასდაუდებელ კუთვნილებას იცავს რუმინელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის, რუმინელი ხალხისა და სოციალისტური ბანაკის ყველა ხალხის მარადიულ ურღვევ მეგობრობას. პარტია ავითარებს და დაუცხრომლად განამტკიცებს ამ დიად მეგობრობას. იგი მშრომელებს ზრდის პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომ განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობის სულისკვეთებით.

ამხ. გეორგიუ-დეჟი სულით და გულით უსურვებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას სრულ წარმატებას მის მუშაობაში და გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ ბანაკს, რუმინელი და საბჭოთა ხალხების მარადიულ მეგობრობას და ძმურ თანამშრომლობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის საანგარიშო მოხსენება

ამხანაგ პ. გ. მოსკალოვის მოხსენება

I

ამხანაგებო! ამხ. ხრუშჩოვმა მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ღრმა ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო ვითარებას და ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრებას, ამომწურავი სისრულით შეაჯამა იმ ისტორიულ-ისტორიულ გამარჯვებათა შედეგები, რომლებითაც შეხვდა ჩვენი პარტია თავის XX ყრილობას.

ეს მიღწევები უზრუნველყოფილია საბჭოთა ხალხის გმირული შრომით, ჩვენი პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მოღვაწეობით.

პარტიის წესდების შესაბამისად ცენტრალური საარჩევნო კომისია საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად ამოწმებდა პარტიის ფინანსურ მეურნეობას და კონტროლს უწევდა იმას, თუ როგორ მიმდინარეობდა საქმეები და წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში. ამ პერიოდში შესამჩნევად გაუმჯობესდა საფინანსო-საბიუჯეტო მუშაობის ხარისხი როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, ისე საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ პარტიულ ორგანოებში. განმტკიცდა საბიუჯეტო დისციპლინა, გაუმჯობესდა პარტიული ორგანოების მუშაობა საწევრო შესატანების აკრეფის საქმეში.

პარტიის XIX ყრილობიდან XX ყრილობამდე განვლილ პერიოდში ზოგიერთი ცვლილება მოხდა ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის სტრუქტურაში. თუ 1952 წლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში საწევრო შესატანების ხვედრითი წონა შეადგენდა 85 პროცენტს, საგამომცემლო საქმიანობისა — 12 პროცენტს და დანარჩენი შემოსავალი — 3 პროცენტს, 1955 წელს ბიუჯეტის შემოსავალი საწევრო შესატანებისაგან შეადგენდა 73 პროცენტს, ხოლო საგამომცემლო საქმიანობის შემოსავალი გადიდდა 26,3 პროცენტამდე. დანარჩენმა შემოსავალმა შეადგინა 0,7 პროცენტი.

საწევრო შესატანებით შემოსავლის შემცირება გამოიწვია იმან, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების შესაბამისად, რომელიც პარტიის XIX ყრილობამ მიიღო, მნიშვნელოვნად შემცირებულ იქნა იმ საწევრო შესატანების ოდენობა, რასაც ყოველთვიურად იხდიან პარტიის წევრები და კანდიდატები. ამასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების წინაშე დაისახა ამოცანა გაედიდებინათ პარტიის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი საწევრო შესატანების აკრეფაზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით, პარტიული ორგანოების საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებით, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებით.

საგამომცემლო საქმიანობით ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის ზრდა აიხსნება იმით, რომ იმ გაზეთების ტირაჟები, რომლებსაც გამომცემლობა „პრავდა“ უშვებს, პარტიის XIX ყრილობის შემდეგ ერთნახევარჯერ გადიდდა, ხოლო ჟურნალების ტირაჟები ამ ხნის მანძილზე ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. ამას გარდა, 1954 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გამომცემლობა „პრავდამ“ დაიწყო ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ გამოცემა, რომლის ტირაჟია 500 ათასი ცალი, და 1955 წელს — ჟურნალ „იუნოსტის“ გამოშვება 150 ათასი ცალი ტირაჟით. ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების ტირაჟები.

პარტიული ორგანოების შემოსავალი საგამომცემლო საქმიანობით საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ ყველა საოლქო გაზეთი უზარალო ყოფილიყო. მარტო რუსეთის ფედერაციაში 102 საოლქო გაზეთიდან 43 გაზეთი დოტაციას იღებს ცენტრიდან, თავისი ხარჯების დასაფარავად. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჭიროდ მიაჩნია, რომ ამას უურადღება მიაქცინონ შესაბამისმა ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საანგარიშო პერიოდში დაადგინა, რომ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები ადგილზე სისტემატურად ამოწმებენ იმას, თუ როგორია საწევრო შესატანების გადახდის საქმის მდგომარეობა, და იღებენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ამ მუშაობაში. ცოტა დახმარებას როდი უწევენ პარტიულ ორგანოებს საარჩევნო კომისიებიც, რომლებიც გარდა ფინანსური რევიზიის მოხდენისა, აგრეთვე ამოწმებენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საწევრო შესატანების მიღებას.

მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი პარტიული ორგანიზაცია, რომლებიც ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებენ საწევრო შესატანების სწორად აკრეფას და საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მუშობის ამ უბანს.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია არ განუმარტავს კომუნისტებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციას საწევრო შესატანების შესახებ, რის შედეგად ბევრს შემთხვევები, რო-

ცა კომუნისტები თავის დროზე არ იხდიან საწევრო შესატანებს ან იხდიან მათ ნაკლები ოდენობით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია პარტიის წესდებით. ასეთი ფაქტები აღინიშნა ბრიანსკის, კალინინის, ჩკალოვის, ჩუვაშეთისა და მთელი რიგი სხვა საოლქო პარტიული ორგანიზაციების საარჩევნო კომისიების საანგარიშო მოხსენებებში.

კომუნისტებს თავის დროზე რომ არ შეაქვთ საწევრო შესატანები პარტიის სალაროში, ეს ხშირად იწვევს ამ კომუნისტების მოწყვეტას პარტიისაგან და პარტიის რიგებიდან გარიცხვასაც კი. მაგალითად, იაროსლავლის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის საანგარიშო მოხსენებაში საოლქო პარტიულ კონფერენციაზე აღნიშნა, რომ 1954 წელს და 1955 წლის 9 თვეში პარტიის რიგებიდან გარიცხულთა საერთო რიცხვში კომუნისტების ერთი მეხუთედი ნაწილი გაირიცხა იმიტომ, რომ სისტემატურად არ იხდიდა საწევრო შესატანებს. ასეთი მდგომარეობა უნდა მივიჩნიოთ სრულიად არანორმალურად, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ.

ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში როდი იცავენ პარტიის წევრებისა და კანდიდატებისაგან აკრეფილი საწევრო შესატანების შემნახველ სალაროებში ჩაბარების დადგენილ წესს. ნაცვლად იმისა, რომ საწევრო შესატანებს აბარებდნენ შემნახველ სალაროებს მათი შემოსვლის კვალობაზე, მაგრამ 10 დღეში ერთხელ მაინც, ხოლო სოფლის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში თვეში ერთხელ მაინც, როგორც ეს გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციით, ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები კომუნისტებისაგან მიღებულ საწევრო შესატანებს შემნახველ სალაროებს აბარებენ მნიშვნელოვანი დაგვიანებით. მაგალითად, თათრეთის ასს რესპუბლიკაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცალკეულ მდივნებს შემნახველი სალაროებისათვის არ ჩაუბარებიათ საწევრო შესატანები 13 თვემდე. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მიერ საწევრო შესატანების დროზე ჩაუბარებლობის ფაქტები აღნიშნეს თავიანთ საანგარიშო მოხსენებებში კალინინგრადის, ზოვისპირეთის, პსკოვის, უდმურტეთისა და სხვა პარტიული ორგანიზაციების საარჩევნო კომისიებმა.

შემნახველ სალაროებში საწევრო შესატანების ჩაბარების დაწესებული ვადების დარღვევა უარყოფით გავლენას ახდენს პარტიის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის შესრულებაზე და რამდენადმე აძნელებს იმას, რომ თავის დროზე დააფინანსონ ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯები ადგილობრივი პარტიული ორგანოების შესანახავად. მთელ რიგ შემთხვევებში ასეთი პრაქტიკა იწვევს საწევრო შესატანების გაფლანგვას.

როგორც აცხადებენ საარჩევნო კომისიები თავიანთ საანგარიშო მოხსენებებში, საწევრო შესატანების გაფლანგვა მოხდა გორკის, ომსკის, სვერდლოვსკის, სმოლენსკისა და სხვა ოლქების ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამას და რაც შეიძლება მალე მოუღონ ბოლო ასეთ მოვლენებს, რომლებსაც შემდეგში ვერ შევუერიგდებით ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

შევეხები რა ბიუჯეტის გასავლის ნაწილს, საჭიროდ მიმაჩნია ყრილობას მოვახსენო, რომ სახსრები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოიყოფს, როგორც წესი, იხარჯება პირდაპირი დანიშნულებით და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვით. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის 1956 წლის ბიუჯეტით ყველა ასიგნების 94 პროცენტი გათვალისწინებულია ადგილობრივი პარტიული ორგანოების საჭიროებისათვის, რაც 3 პროცენტით მეტია, ვიდრე აღნიშნული იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის ფინანსური მეურნეობა, შემცირდა მისი შენახვის ხარჯები. XIX ყრილობიდან XX ყრილობამდე განვლილ პერიოდში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის შტატი შემცირდა 24,7 პროცენტით.

პარტიული ორგანოების შტატის მუშაკთა საერთო რიცხვიდან უმრავლესობა მოდის პარტიის საქალაქო კომიტეტებზე, რაიკომებზე და პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე. თუ ყველა ადგილობრივი პარტიული ორგანოს შტატებს მივიღებთ 100 პროცენტად, მაშინ საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების შტატები შეადგენს მხოლოდ 12,2 პროცენტს, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტების, საქალაქო და სასოფლო რაიკომების შტატები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაკთა შტატები შეადგენს 87,8 პროცენტს.

როგორც ცნობილია, პარტიის ბიუჯეტის ძირითადი სახსრები ხმარდება პარტიულ პროპაგანდასა და აგიტაციას, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების მომზადებასა და გადამზადებას, ახალ მშენებლობას და იმ შენობების აღდგენას, რომლებიც პარტიულ ორგანოებს უკავიათ. იმ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც გამოყოფილია პარტიული პროპაგანდისთვის, იხარჯება პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული პარტიული ბიბლიოთეკების შესანახავად. თუ პარტიული პროპაგანდისათვის მთელ ასიგნებებს მივიღებთ 100 პროცენტად, მაშინ ხარჯები პარტიულ ბიბლიოთეკებზე შეადგენს 58 პროცენტს და მოკლევადიან კურსებსა და სემინარებზე — 23 პროცენტს. მოკლევადიანი კურსები და სემინარები, რომლებსაც საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები აწყობენ, ყოველწლიურად ამზადებენ 50 ათასამდე პროპაგანდისტულ მუშაკს.

პარტიული განათლების სისტემაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებს. მათი ქსელი განუწყვეტლივ ფართოვდება. მარქსიზმ-ლენინიზმის 288 საღამოს უნივერსიტეტში ახლა სწავლობს 149 ათასი კაცი, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 80 ათასი წევრი, საკავშირო ალკა 33 ათასი წევრი, და 36 ათასი უპარტიო.

პარტიული და საბჭოთა მუშაკების კადრების მომზადება და გადამზადება ხორციელდება სამწლიანი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტიული სკოლების, საოლქო კომიტეტებთან, სამხარეო კომიტეტებთან და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული ერთწლიანი კურსების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის საშუალებით. პარტიის XIX ყრილობიდან XX ყრილობამდე განვლილ პერიოდში ამ სასწავლებლებმა მოამზადეს და გადაამზადეს 34 ათასზე მეტი კაცი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სახსრებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოიყოფს, ადგილობრივი პარტიული ორგანოები ხარჯავენ პირდაპირი დანიშნულებით. ამასთან ერთად ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას ბიუჯეტის ცალკეული მუხლების მიხედვით აქვს სახსრების სისტემატური გადახარჯვა, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ-სამეურნეო საჭიროებებისათვის. საანგარიშო პერიოდში ასეთი გადახარჯვა ჰქონდათ ვლადიმირის, მორდველთისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებს. რაც უნდა მივიჩნიოთ საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის უხეშ დარღვევად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს მათი მუშაობის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ამხანაგ პ. გ. მოსკალოვის მოხსენებიდან დასასრული

პირობების გაუმჯობესებაში. საანგარიშო პერიოდში აშენდა პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების, პარტიული სკოლების, ბიბლიოთეკების 756 ახალი შენობა და საცხოვრებელი სახლები დაახლოებით 700 მილიონი მანეთი საერთო თანხისა. ბევრი საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები ამ მშენებლობას ახორციელებენ მოკლე ვადებში, კარგი ხარისხით და ეტაპებულ ხარჯთაღრიცხვებში.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში პარტიულ ორგანიზაციებს ჰქონდათ სერიოზული ნაკლოვანებანი, ზედმეტობანი დაპროექტებასა და მშენებლობაში, იყენებდნენ ზედმეტ შემკობა-გალამაზებას შენობის შიდა მოპირკეთების დროს, რაც იწვევდა მშენებლობის ღირებულების მნიშვნელოვან გაძვირებას. პარტიის ზოგიერთი საოლქო კომიტეტი არღვევს ადგილობრივი პარტიული ორგანოების შენობათა მშენებლობის დაწესებულ ვადებს. ცოტა ფაქტი როდი შეიძლება მოვიყვანოთ, როცა რაიკომების შენობათა მშენებლობა, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში, სამ წელიწადსა და მეტ ხანს მიმდინარეობს. მაგალითად, პარტიის კოსტრომის საოლქო კომიტეტი მეოთხე წელია აშენებს პარტიის სუსანინოს, პავინოს, პალკინოსა და პიშუგის რაიკომების შენობებს, ამასთან ურიგდება მნიშვნელოვან ზესახარჯთაღრიცხვო ხარჯებს. ნელა აწარმოებენ მშენებლობას პარტიის ასტრახანისა და დაღისტნის საოლქო კომიტეტები. მშენებლობისათვის მიცემული ასიგნობანი ასტრახანის საოლქო კომიტეტმა 1954 წელს გამოიყენა 69 პროცენტით, ხოლო 1955 წელს — 57 პროცენტით. დაღისტნის საოლქო კომიტეტმა ცენტრალური კომიტეტის მიერ მისთვის გათვალისწინებული სახსრები აღნიშნული მიზნისათვის 1954 წელს აითვისა 49 პროცენტით, ხოლო 1955 წელს — მხოლოდ 38,3 პროცენტით.

საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივი პარტიული ორგანოების შენობათა მშენებლობის ნაკლოვანებებს და მიიღონ ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შემდეგ მინდა შევეხო საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას ადგილობრივი პარტიული ორგანოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმების დარგში. ამ საკითხზე საჭიროა ყრილობას მოვახსენო, რომ გარდა ფინანსური რევიზიებისა, რომლებსაც ახორციელებენ სარევიზიო კომისიები ადგილებზე, აგრეთვე საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობამ 1953, 1954 და 1955 წლების მანძილზე შეამოწმა საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო საქმიანობა და საწევრო შესატანების დარგში მუშაობის მდგომარეობა 111 საოლქო კომიტეტში, სამხარეო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტში, პარტიის 416 საქალაქო და რაიონულ კომიტეტში და 907 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. ამასთან ერთად ხორციელდებოდა საფინანსო რევიზიები საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ პარტიულ სკოლებში და საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური გაზეთების გამომცემლობებში.

ასეთია საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანოების საფინანსო-სამეურნეო და საბიუჯეტო საქმიანობის მოკლე ანალიზი. ამოცანა ის არის, რომ კვლავაც არ შევასუსტოთ ყურადღება პარტიული ორგანოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საკითხისადმი. საჭიროა აღმოვფხვრათ საწევრო შესატანების შეგროვების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და მივაღწიოთ მათს დროზე და სწორ გადახდას, ვაუმჯობესოთ პარტიული ორგანოების საგამომცემლო საქმიანობა, მომჭირნედ ვხარჯოთ სახსრები და შევამციროთ ზედმეტი ხარჯები. სარევიზიო კომისიებმა მომავალშიც რეგულარულად უნდა აწარმოონ პარტიული ორგანოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია და თვალყური ადევნონ თავიანთ იმ წინადადებათა შესრულებას, რომლებიც რევიზიის შედეგების შესახებ პარტიული ორგანოების განსახილველად შეაქვთ.

II

ამხანაგებო! საანგარიშო პერიოდში ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ შეამოწმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ განყოფილებებში მშრომელთა წერილებისა და საჩივრების მსვლელობა. შემოწმებამ ცხადყო, რომ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებმა გააძლიერეს ყურადღება მუშაობის ამ უბნისადმი, იწყეს უფრო ოპერატიულად გადაჭრა იმ საკითხებისა, რომლებსაც წერილები და საჩივრები ეხება, ბევრმა წერილმა, რომლებითაც იტყობინებოდნენ ამა თუ იმ ორგანიზაციის, საწარმოს მუშაობის ნაკლოვანებებზე, დადებითი როლი შეასრულა ამ ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებაში.

როგორც საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური სარევიზიო კომისიები აღნიშნავდნენ თავიანთ ანგარიშებში საოლქო და სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებშიც. შემცირდა განხილვის ვადები და მოწესრიგდა მათი მსვლელობის აღრიცხვა და კონტროლი. საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა უფრო ხშირად იწყეს წერილებთან და საჩივრებთან მუშაობის მდგომარეობის საკითხების განხილვა სამდივნოებისა და ბიუროების სხდომებზე. მაგრამ ყველა ორგანიზაციაში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებით როდი ეპყრობიან მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში შემოსული წერილების, განცხადებებისა და საჩივრების ანალიზი გვიჩვენებს, მათში აღძრული საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლებოდა დროზე გადაეხილათ სათანადო ორგანიზაციებსა და უწყებებს. მაგრამ იმის გამო, რომ ამ ორგანიზაციათა და უწყებათა ცალკეული მუშაკები მთელ რიგ შემთხვევებში ზერელედ განიხილავენ წერილებს, განცხადებებს, საჩივრებს, დროზე არ აძლევენ პასუხს მათზე, ყოველთვის სწორად როდი წყვეტენ მათ, საბჭოთა ადამიანები იძულებული არიან საჩივრით მიმართონ ზემოგომ ორგანიზაციებს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსაც კი.

იმ წერილების, განცხადებებისა და საჩივრების საერთო რაოდენობიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში შემოვიდა 1954-1955 წლებში, 25 პროცენტი შეადგენს წერილებსა და საჩივრებს შრომითს საკითხებზე, მატერიალური, სამკურნალო და საკურორტო დახმარების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სოციალური დაზღვევის, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე, ე. ი. ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეიძლებოდა დროზე წარმატებით გადაეჭრათ პროფკავშირულ, სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციებს. ამ მდგომარეობას ადასტურებს კიდევ ის, რომ 1954-1955 წლებში ცენტრალურ კომიტეტში შემოვიდა სამინისტროებიდან და უწყებებიდან, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან 145 ათასზე მეტი პასუხი იმ წერილებსა და საჩივრებზე, რომლებიც მათ განსახილველად გაუგზავნეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ. წერილებისა და საჩივრების ზემოაღნიშნული რაოდენობიდან 94 ათასამდე, ანუ 65 პროცენტი დადებითად გადაწყდა.

ამრიგად, იმ ორგანიზაციებს, რომლებშიც თავდაპირველად შევიდა წერილები და საჩივრები, უფრო ყურადღებით და დროზე რომ განეხილათ და მიეღოთ მათ შესახებ სწორი გადაწყვეტილებანი, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა დიდი დრო მათი დამატებითი განხილვისათვის და მშრომელებს აღარ დასჭირდებოდათ ამ საკითხებზე მიმართნათ ზემდგომი ორგანიზაციებისათვის.

მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვისადმი ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის ფორმალური დამოკიდებულების ცოტა მაგალითი როდი იყო მოყვანილი მთელი რიგი სარევიზიო კომისიების საანგარიშო მოხსენებებში საოლქო, სამხარეო კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე. ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება ივანოვოს, პენზის, ტამბოვისა და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციას.

ბევრ სამინისტროსა და უწყებაში, როგორც მშრომელნი იუწყებიან თავიანთ წერილებში, განცხადებებსა და საჩივრებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას გაუგზავნეს, მთხოვნელთა მიღების საქმე სრულებითაც არ არის კარგად დაყენებული. მთხოვნელებს, როგორც წესი, იღებენ ისეთი მუშაკები, რომლებსაც დამოუკიდებლად არ შეუძლიათ გადაჭრან ის საკითხები, რომელთა შესახებ მშრომელნი მათ მიმართავენ. ხოლო იმისათვის, რომ განმცხადებელი ამა თუ იმ ხელმძღვანელი მუშაკის მიღებაზე მოხვდეს, საჭირო ბევრი დრო დახარჯოს. გარდა ამისა, ბევრ დაწესებულებაში მთხოვნელთა მიღება წარმოებს ისეთ საათებში, როცა მუშები და მოსამსახურეები მუშაობენ და არ შეუძლიათ მოხვდნენ მიღებაზე მათთვის საინტერესო საკითხების გადასაჭრელად.

იმისათვის, რომ მომხვდარიყვნენ, ვთქვათ, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს საჩივართა ბიუროს გამგის მიღებაზე, საჭირო იყო ჰქონოდათ სპეციალური საშვები. იმავე სამინისტროში არ შეიძლებოდა, თუ სპეციალური საშვები არ გქონდა, შესულიყავი პოლიტსამართველოში ან მუშათა კადრების განყოფილებაში, რომლებსაც ყოველდღე მიმართავს რკინიგზის ტრანსპორტის მრავალი მუშაკი. მთხოვნელთა მიღების ასეთი მდგომარეობა არსებობდა გზათა სამინისტროში სულ უკანასკნელ დრომდე.

სავსებით ცხადია, რომ დროა გადაჭრით მოეღოს ბოლო ასეთ არასწორ პრაქტიკას, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის არაერთგზის მითითებას ამ საკითხზე. ამოცანა ის არის, რომ აღმოვფხვრათ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში, მკაცრი წესრიგი დავამყაროთ ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციაში მთხოვნელთა მიღების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის მითითება, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ მშრომელთა წერილებს, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას. ვ. ი. ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ მშრომელთა საჩივრები საბჭოთა დაწესებულებების ცუდი მუშაობის შესახებ არსებითად კონტროლია ქვემოდან. იგი მოითხოვდა საქმე ისე დაგვაყენებინა, რომ ზრუნვას მშრომელთა საარსებო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, ყურადღებას მათი სიგნალებისადმი და მათზე სწრაფ რეაგირებას განემსჭვალა ყველა საბჭოთა დაწესებულების საქმიანობა. ვ. ი. ლენინი მუდამ მოუწოდებდა პარტიას შეურიგებლად მოპყრობოდა მუშაობის ბიუროკრატიული მეთოდების გამოვლინებას, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ცალკეულ ხელმძღვანელთა უმეცრებას, ქედმაღლობასა და კომყოყოჩობას, აღნიშნავდა, რომ ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული, ფორმალურ-განცალკევებული მეთოდები არ შეესაბამება საბჭოთა ხელისუფლების ბუნებას, რომ საჭიროა განუწყვეტელი ბრძოლა ვაწარმოოთ საქმის გაჭიანურების, უდარდელობის, უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უყურადღებო, უგულებელყოფელი დამოკიდებულების ფაქტების წინააღმდეგ.

ამხანაგებო! მშრომელთა წერილებთან და საჩივრებთან ერთად, რომლებიც პარტიულ ორგანოებში შემოდის და რომლებშიც სამართლიანად აღნიშნულია ცალკეული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი ან აღძრულია საკითხები, რომლებიც მათს გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალურ სარევიზიო კომისიასა და ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში შემოდის ისეთი წერილები, მათ შორის უსახელო წერილებიც, რომელთა ავტორები ცდილობენ ანგარებითი მიზნებით სახელი გაუტეხონ სრულიად უდანაშაულო მუშაკებს, იგონებენ სხვადასხვა უსაფუძვლო ბრალდებას, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ბევრ მუშაკს აცდენენ ამ ცილისმწამებლური ჭორების შემოწმებაზე.

ჩვენი აზრით, ყველა ასეთი წერილი როდი უნდა მივიღოთ განსახილველად. პარტიული და სხვა ორგანიზაციების ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას, რომლებიც სამართლიანად აკრიტიკებენ ყოველი ჩვენი ორგანიზაციის ნაკლოვანებებს და სურთ აქტიური დახმარება გაუწიონ პარტიასა და სახელმწიფოს აღმოფხვრან ესა თუ ის ნაკლოვანებანი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში. (ტაში).

ჩვენში, სამწუხაროდ, კიდევ არიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალურ სარევიზიო კომისიას მიმართავენ საჩივრებით, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ხელს არ უწყობენ მათ შრომითს მოწყობაში. შემოწმებით ირკვევა, რომ ბევრი ასეთი კომუნისტი თავის დროზე განთავისუფლებული იყო ხელმძღვანელი და პასუხსაგები სამუშაოსაგან, როგორც ისეთი, რომელმაც თავი ვერ გაართვა სამუშაოს და სახელი გაიტეხა, და კვლავ აცხადებს პრეტენზიას ისეთსავე პოსტებზე, რომლებიც მათ წინათ ეკავათ, კატეგორიულ უარს ამბობს სხვა სამუშაოზე. ასეთი ადამიანები საკუთარი მიზეზით დიდხანს არ მუშაობენ, განსაკუთრებულ პრივილეგიებს მოითხოვენ თავისთვის და ელოდებიან, როდის დაუძახებენ მათ და შესთავაზებენ სამუშაოს, ხასიათით და მოცულობით იმაზე არანაკლებს, რომლისგანაც ისინი ერთ დროს განთავისუფლებულ იქნენ. დროა ასეთ კომუნისტებს მივაქციოთ ყურადღება, და მათი არასწორი ქცევის საკითხი განხილულ უნდა იქნას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სათანადო პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც ეს კომუნისტები აღრიცხვაზე იმყოფებიან.

III

ამხანაგებო! ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ გაიცნო საქმეთა მსვლელობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტში და გამოარკვია, რომ პარტიის XIX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში პარტიული კონტროლის კომიტეტმა განიხილა პარტიის წევრებისა და კანდიდატების 44 ათასზე მეტი აპელაცია და განცხადება.

მაგრამ საჭიროა მოვახსენოთ პარტიის XX ყრილობას, რომ პარტიის XIX ყრილობის შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული კონტროლის კომიტეტის აპარატში გამოავლინა არასწორი პრაქტიკა, რომ კომუნისტების პერსონალურ საქმეებს ბევრ შემთხვევაში განიხილავდნენ დაუსწრებლად, ერთპიროვნულად ან პარტიული კონტროლის კომიტეტის არასრული შემადგენლობით.

უკანასკნელ ორ წელიწადში პარტიული კონტროლის კომიტეტმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა იმ განცხადებათა და პერსონალურ საქმეთა განხილვაში, რომლებიც პარტიული კონტროლის კომიტეტში შემოდის, ასწორებს შეცდომებს, რომლებსაც წინათ უშვებდა.

საანგარიშო პერიოდში ჩვენმა პარტიამ დიდი მუშაობა გასწია პარტიის წევრთა და კანდიდატთა პარტიული დოკუმენტების გამოცვლის საქმეში. პარტიული დოკუმენტების გამოცვლა გამოიწვია იმან, რომ საჭირო გახდა წესრიგზე მოგვეყანა პარტიული დოკუმენტები პარტიის ახალი სახელწოდების შესაბამისად, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ მიიღო. პარტიული დოკუმენტების გამოცვლა აგრეთვე მიზნად ისახავდა სათანადო წესრიგის დამყარებას კომუნისტების აღრიცხვაში.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა შეამოწმეს პარტიული მეურნეობის მდგომარეობა, რამაც ჩვენს პარტიას შესაძლებლობა მისცა პარტიული დოკუმენტების გამოცვლა ყველგან განეხორციელებინა ორგანიზებულად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად. ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში როდია დამყარებული სათანადო წესრიგი პარტიულ მეურნეობაში. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საჭირო მომთხოვნელობას არ უყენებს კომუნისტებს, არ უნერგავს მათ პარტიული ბილეთებისა და საკანდიდატო ბარათების შენახვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას, რის შედეგად არის პარტიული ბილეთებისა და საკანდიდატო ბარათების დაკარგვის ბევრი შემთხვევა. მაგალითად, 1954-1955 წლების განმავლობაში კომუნისტებმა დაკარგეს 30 ათასამდე პარტიული დოკუმენტი. პარტიის ცალკეული რაიკომები და საქალაქო კომიტეტები კომუნისტების მიერ პარტიული დოკუმენტების დაკარგვის ფაქტების მიხედვით არ აკეთებენ სათანადო დასკვნებს და არ იღებენ ღონისძიებებს მათი მოძებნისათვის.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ამიერიდან არ შეასუსტონ ყურადღება პარტიული მეურნეობის საკითხებისადმი, ზუსტად დაიცვან კომუნისტთა აღრიცხვის, პარტიული დოკუმენტების გაცემისა და შენახვის წესი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაწესა, სისტემატურად განუმარტონ პარტიის წევრებსა და კანდიდატებს მათი პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე პარტიული ბილეთებისა და საკანდიდატო ბარათების ფრთხილად შენახვისთვის.

ამხანაგებო! ჩვენი პარტია თავის XX ყრილობაზე მოვიდა როგორც ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის დარგში, ისე საერთაშორისო ურთიერთობის დარგში ისტორიული ამოცანების განხორციელებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებით.

ჩვენი პარტია XX ყრილობაზე მოვიდა უფრო დარაზმული, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების სულისკვეთებით იდეურად გამოწრთობილი. და ეჭვი არ არის, რომ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს აქტიურად და მებრძოლურად განახორციელებენ მთელი პარტია, მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და სახალხო ინტელიგენცია ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. (მქუხარე ტაში).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება

ამხანაგ ა. ბ. არისტოვის მოხსენება

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ მოვახსენო ყრილობას სამანდატო კომისიის მუშაობის შედეგები.

პარტიის XIX ყრილობის დროიდან სამნახევარ წელიწადზე ნაკლები ხანი გავიდა. მაშასადამე, ეს ყრილობა შეიკრიბა იმ ვადის დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პარტიის წესდებით. წესდების თანახმად მორიგი ყრილობების მოწვევა ხდება ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს შინაპარტიული ცხოვრების განვითარებაში, რადგან ყრილობა პარტიის უმაღლესი ორგანოა.

კომუნისტური პარტიის დამაარსებელმა და ბელადმა დიდმა ლენინმა შეიმუშავა პარტიული მშენებლობის პრინციპები და პარტიული ცხოვრების ნორმები, რომელთა განხორციელება ჩვენი პარტიისათვის მუდამ უზრუნველყოფდა ურღვევ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ერთიანობას, მაღალ დისციპლინას, ურყევ სიმტკიცეს და სულ უფრო მზარდ კავშირს მშრომელთა მასებთან. ლენინი გვასწავლიდა, რომ მთლიანად პარტიისა და ყველა მისი ორგანიზაციის ნორმალური მოღვაწეობა შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის ზუსტად დაცვით, რომ ეს არის კომუნისტური მშენებლობის ამოცანების სწორი გაგებისა და წარმატებით გადაჭრის აუცილებელი პირობა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, რომელიც 1953 წელს გაიმართა, გამოავლინა პარტიული ხელმძღვანელობის ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის უაღრესად უხეში დარღვევები, რომლებიც პიროვნების კულტმა წარმოშვა; და მოითხოვა განუხრელად განხორციელდეს ლენინის მითითებანი პარტიულ ხელმძღვანელობაში თავიდან ბოლომდე კოლექტიურობის შესახებ, პარტიული ორგანიზაციების აქტივობის, ინიციატივისა და თვითმოქმედების ყოველი ღონისძიებით გაძლიერების შესახებ.

ცოტა ხნის წინათ დამთავრებული საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები, რაიონული, საოკრუგო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენციები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობები მიმდინარეობდა შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაჩაღების, პარტიული მასების მაღალი აქტივობის ვითარებაში, მათ ცხადყვეს კომუნისტების იდეური ზრდა და ბოლშევიკური პრინციპულობა, მათი საქმიანობა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა. რიგითმა კომუნისტებმა, კონფერენციებისა და ყრილობების დელეგატებმა საფუძვლიანად განიხილეს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაობა, დასახეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში პარტიული მუშაობის პრაქტიკული ამოცანები, აირჩიეს პარტიული კომიტეტები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატები.

სამანდატო კომისიას საჭიროდ მიაჩნია აცნობოს ყრილობას, რომ ყველა საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციასა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე პარტიული კომიტეტების წევრებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატების არჩევნები მოხდა ჩვენი პარტიის რიგების ურყევი ერთიანობის ნიშნით.

სამანდატო კომისიამ გამოარკვია, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის XX ყრილობის დელეგატების არჩევნები მოხდა პარტიის წესდების მოთხოვნების ზუსტი შესაბამისობით. ყრილობის დელეგატების არჩევნები წარმოებდა დახურული (ფარული) კენჭისყრით. რწმუნებათა შემოწმებამ ცხადყო, რომ ყრილობაზე არჩეულმა ყველა დელეგატმა მიიღო ხმის საჭირო უმრავლესობა. არჩევნების დადგენილი წესის დარღვევა არ ყოფილა. კომისიამ ყრილობის დამსწრე ყველა დელეგატის რწმუნება სწორად ცნო.

* * *

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატების არჩევისას ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა წარმომადგენლობის ისეთივე ნორმები, როგორიც პარტიის წინა XIX ყრილობაზე იყო: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის ხუთი ათას წევრზე და ერთი დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის ხუთი ათას კანდიდატზე. ამის შესაბამისად პარტიის XX ყრილობაზე სულ არჩეულია 1.355 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 81 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. ყველა არჩეული დელეგატი ესწრება ყრილობას, გარდა 6 დელეგატისა გადამწყვეტი ხმით, რომლებიც არ ესწრებიან ავადმყოფობის გამო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის არჩეულია 77-ით მეტი დელეგატი, ვიდრე წინა ყრილობაზე იყო, რაც აიხსნება ჩვენი პარტიის რიგების ზრდით.

ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აერთიანებს 7.215.505 კაცს, აქედან პარტიის 6.795.896 წევრს და პარტიის წევრობის 419.609 კანდიდატს. პარტიის XIX ყრილობისათვის — 1952 წლის 1 ოქტომბრისათვის — პარტიის რიგებში ითვლებოდა 6.013.259 წევრი და პარტიის წევრობის 868.886 კანდიდატი, სულ კი 6.882.145 კაცი.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ კომუნისტების საერთო რაოდენობა პარტიის XIX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში გადიდდა 333.360 კაცით. პარტიის წევრთა რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში გადიდდა 782.637 კაცით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა, პირიქით, შემცირდა 449.277 კაცით. ამასთან დაკავშირებით XX ყრილობაზე დელეგატები სათათბირო ხმით არჩეულია 86-ით ნაკლები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში პარტიის წევრობის კანდიდატთა საერთო რაოდენობის წინა ყრილობასთან შედარებით თითქმის ერთიორად შემცირება აიხსნება პარტიის წევრობის კანდიდატებთან პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებით, რის შედეგად კანდიდატთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც პარტიის XIX ყრილობისათვის ვადაგასული სტაჟი ჰქონდა, მიღებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრებად.

რას მოწმობენ ცნობები პარტიის რიგების ზრდის შესახებ? ისინი მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კომუნისტური პარტია მიაჩნიათ, როგორც ლენინი ამბობდა, ჩვენი ეპოქის გონებად, პატიოსნებად და სინდისად, თავიანთ ნაცად ხელმძღვანელად კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. მასების ნდობა პარტიამ მოიპოვა საქმეებით, თავისი სწორი პოლიტიკით.

კომუნისტური პარტია მუშათა კლასის პირმშოა, იგი წარმოშობილია ხალხის მიერ და ერთგულად ემსახურება ხალხს. ეს არის მშრომელ მასებთან პარტიის სისხლხორცეული კავშირის, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის უღრმესი წყარო. სწორედ ამით აიხსნება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მისწრაფება შეიდნენ ჩვენი პარტიის რიგებში.

კომუნიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზის შექმნის ბრძნული ლენინური პოლიტიკა, მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების პოლიტიკა გამოიხატა როგორც ახალი, ისე ძველი სამრეწველო ცენტრებისა და რაიონების შემდგომი ზრდით. ეს განსაკუთრებით ჩანს ურალში, ციმბირში, აზიაში და ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა რაიონში სამეურნეო განვითარების მაგალითით.

მაგალითად, საგულისხმოა, რომ კუზბასს ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მეორე ადგილი უკავია ქვანახშირის ამოღებით. ჩელიაბინსკის ოლქი ამჟამად ერთიორად მეტ ლითონს ამზადებს, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის მთელი მეტალურგიული მრეწველობა იძლეოდა. ბაშკირეთისა და თათრეთის ნავთობის ახალგაზრდა მრეწველობა, რომელიც სწრაფი ტემპებით ვითარდება, ერთ-ერთ პირველ ადგილზე გამოვიდა ჩვენს ქვეყანაში. ამავე დროს წარმატებით ვითარდებიან ძველი სამრეწველო რაიონებიც.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება მუშათა კლასიც ამ ინდუსტრიულ ცენტრებში. ამჟამად ურალის მრეწველობის ყველა დარგში დასაქმებულია თითქმის ერთიორად მეტი მუშა და მოსამსახურე, ვიდრე 1940 წელს იყო. ამასთან დაკავშირებით იზრდებიან და მტკიცდებიან პარტიული ორგანიზაციები. სვერდლოვსკის პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 119.784 კომუნისტს, აქედან თითქმის ნახევარი მრეწველობაში მუშაობს. ჩელიაბინსკის პარტიულ ორგანიზაციაში ითვლება 91.550 კომუნისტი, კემეროვოსაში — 78.302 კომუნისტი. ამ ორგანიზაციების კომუნისტთა 40 პროცენტზე მეტი აგრეთვე დასაქმებულია სამრეწველო წარმოებაში.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ამხანაგ ა. ბ. არისტოვის მოხსენებიდან დასასრული

ყრილობაზე უდიდესი დელეგაციები არიან ჩვენი ქვეყნის ძირითადი სამრეწველო რაიონების დელეგაციები. მაგალითად, მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ ყრილობისათვის აირჩია 150 დელეგატი, ლენინგრადისამ — 66, სვერდლოვსკისამ — 26, გორკისამ — 21, კუიბიშევისამ — 20, ჩელიაბინსკისამ — 19, ბაშკირეთისამ და თათრეთისამ — 17 თვითეულმა, მოლოტოვისამ და კემეროვოსამ — 16 დელეგატი თვითეულმა.

უკრაინის კომუნისტური პარტიის პარტიულმა ორგანიზაციებმა ყრილობისათვის გადამწყვეტი ხმის უფლებით აირჩიეს 191 დელეგატი. კიევის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ აირჩია 20 დელეგატი, სტალინოსამ და ხარკოვისამ — 18 თვითეულმა, დნეპროპეტროვსკისამ — 15 დელეგატი.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყველაზე დიდი დელეგაციები არიან: ყაზახეთისა, რომლის შემადგენლობაშია 50 დელეგატი, საქართველოსი — 38, ბელორუსიისა — 33, უზბეკეთისა — 30, აზერბაიჯანისა — 26 დელეგატი.

ამ ყრილობაზე მონაწილეობას პირველად იღებენ რუსეთის სფსრ შემადგენლობაში ახლადშექმნილი ოლქების — არზამასის, ბალაშოვის, ბელგოროდის, კამენსკის, კამჩატკის, ლიპეცკის, მაგადანის, აგრეთვე უკრაინის სსრ ჩერკასის ოლქის პარტიული ორგანიზაციების დელეგაციები.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ურყევი საფუძველია. ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, უზბეკები, ყაზახები, ქართველები, აზერბაიჯანელები, ლიტველები, მოლდავიელები, ლატვიელები, ყირგიზები, ტაჯიკები, სომხები, თურქმენები, ესტონელები, კარელები, ფინები, თათრები, ბაშკირები, პოლონელები, ებრაელები, ბურიატები, ჩუვაშები, მორდველები, უდმურტები, ოსები, კომები, იაკუტები, მარიელები და სხვა ეროვნებათა პარტიის წევრები.

ყრილობის მრავალეროვანი შემადგენლობის ფაქტი მოასწავებს ჩვენი სახელმწიფოს ხალხთა ურღვევ მეგობრობას, მოწმობს ეროვნული საკითხის გადაჭრაში ლენინური პოლიტიკის წარმატებებს, პარტიის მზრუნველობითს დამოკიდებულებას ეროვნული კადრების გამოზრდისადმი.

საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო ყრილობას რაოდენობა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც ჩვენი პარტიის საფუძველია. ამჟამად პირველადი ორგანიზაციების საერთო რაოდენობა 350 ათასზე მეტია. პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობა მრეწველობაში გადიდდა 3.870-ით და შეადგენს 43.061-ს, ტრანსპორტზე გადიდდა 1.946-ით და მშენებლობაში—1.887-ით, რაც იმას მოწმობს, რომ გაძლიერდა პარტიის ხელმძღვანელობა მრეწველობისადმი, ტრანსპორტისა და მშენებლობისადმი.

ჩვენმა პარტიამ XIX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში, როგორც ცნობილია, განახორციელა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიდი ღონისძიებანი. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში იყო ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. კომუნისტური პარტიის მოწოდებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ყამირის ასათვისებლად გაემგზავრა ასეულათასობით მშრომელი. ახლად მოეწყო ასობით საბჭოთა მეურნეობა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გადიდდა საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობა. მარტო ყაზახეთში და ალტაიში შეიქმნა საბჭოთა მეურნეობების 338 ახალი პარტიული ორგანიზაცია.

გადიდდა აგრეთვე საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი. თუ XIX ყრილობისათვის კოლმეურნეობებში იყო პარტიის 76.355 პირველადი ორგანიზაცია, ახლა მათი რიცხვი უდრის 80.015-ს, ანუ 3.660 პარტიული ორგანიზაციით მეტია. უნდა ითქვას, რომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო დიდი გახდნენ. 1952 წელს იმ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციათა რაოდენობა, რომლებიც 26-დან 100-მდე კომუნისტს ითვლიდნენ, იყო მხოლოდ 5.034. ამჟამად ასეთი ორგანიზაციები 6 ათასზე მეტია. კოლმეურნეობებში არიან ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც პარტიის 100 წევრსა და კანდიდატზე მეტს აერთიანებენ.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ დღემდე 7.356 კოლმეურნეობაში პარტიული ორგანიზაციები არ არის, 10.850 კოლმეურნეობაში პარტიული ორგანიზაციები მცირერიცხოვანია. ისინი აერთიანებენ 3-დან 5-მდე კომუნისტს. ეს იმას მოწმობს, რომ პარტიის ბევრი საოლქო კომიტეტი და რაიკომი ყოველდღიურ ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ პარტიული რიგები გაზარდოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებითა და ნოვატორებით, კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო ადამიანებით.

ამხანაგებო! ჩვენმა მთავრობამ, რომელიც სამშვიდობო პოლიტიკას ახორციელებს, მნიშვნელოვნად შეამცირა შეიარაღებული ძალების რიცხობრივი შემადგენლობა და მარტო 1955 წელს მოახდინა არმიიდან და ფლოტიდან 640 ათასი კაცის დემობილიზაცია. ამასთან დაკავშირებით შემცირდა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების რაოდენობა საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში. 145 ათასამდე კომუნისტი არმიიდან და ფლოტიდან დაუბრუნდა სახალხო მეურნეობას და ახლა ეწევა მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომას.

* * *

ამხანაგებო! ჩვენი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელი ძალაა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ეს თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობს ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაშიც.

ყრილობისათვის არჩეული არიან პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკები, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის მუშაკები, აგრეთვე კულტურის მუშაკები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყრილობას ესწრება 506 პარტიული მუშაკი, 177 საბჭოთა, 12 პროფკავშირული და 8 კომკავშირული მუშაკი. ყრილობის დელეგატთა საერთო რაოდენობიდან, რომელთაც აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება, ცენტრალური პარტიული ორგანოების მუშაკები შეადგენენ 1,4 პროცენტს, პარტიის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მუშაკები — 16,6 პროცენტს, პარტიის საოკრუგო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტების, რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაკები — 19,3 პროცენტს.

პარტიის წინა, XIX ყრილობასთან შედარებით ამ ყრილობაზე წარმოდგენილია გაცილებით მეტი დელეგატი, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში მუშაობენ. მუშაობის გვარეობის მიხედვით ყრილობას ესწრება მუშა 2,7-ჯერ მეტი და კოლმეურნე ერთიანად მეტი, ვიდრე XIX ყრილობაზე იყო. ყრილობის დელეგატთა საერთო რაოდენობიდან, რომელთაც გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ, 438 უშუალოდ წარმოებაში მუშაობს, აქედან 251 კაცი მუშაობს მრეწველობაში და ტრანსპორტზე და 187 — სოფლის მეურნეობაში.

ყრილობის დელეგატთა საერთო რაოდენობიდან 95 კაცი სოციალისტური შრომის გმირია და 60 კაცს აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამხანაგებო! კულტურული რევოლუცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა, სულ უფრო მეტად გვაძლევს თავის შესანიშნავ ნაყოფს. საბჭოთა სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია ჰყავს. ამასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმოა მონაცემები, თუ როგორია ყრილობის დელეგატების შემადგენლობა განათლების მიხედვით. გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე 1.355 დელეგატიდან 758 კაცს უმაღლესი განათლება აქვს, 116-ს — დაუმთავრებელი უმაღლესი და 169-ს — საშუალო. ამრიგად, ყრილობის დელეგატების დაახლოებით 80 პროცენტს აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლება.

დიდ ინტერესს წარმოადგენს მონაცემები, თუ როგორია პარტიის შემადგენლობა განათლების მიხედვით. 1956 წლის 1 იანვრისათვის პარტიის 801.384 წევრს და წევრობის კანდიდატს ჰქონდა უმაღლესი განათლება, 256.856 კაცს — დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში სულ არის უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე 1.058.240 წევრი და წევრობის კანდიდატი, რაც შეადგენს პარტიის საერთო შემადგენლობის 14,7 პროცენტს. 1952 წელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისათვის, პარტიის რიგებში იყო უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე 1.593.505 კაცი, ანუ პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო შემადგენლობის 22,2 პროცენტი. არასრული საშუალო განათლება აქვს 2.127.862 კაცს, ანუ 29,7 პროცენტს.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა ცოდნის ყველა დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მხრივ. საბჭოთა ინტელიგენცია ჩვენს სახელმწიფოში უდიდეს სამუშაოს ასრულებს მეცნიერების განვითარების, შემდგომი ტექნიკური პროგრესის, სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის მოწინავე და საწარმოო მეთოდების გამონახვის, საბჭოთა ხალხის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებშია 1.877.773 სპეციალისტი, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვთ.

ეს მონაცემები მოწმობენ ჩვენს ქვეყანაში კულტურის უდიდეს განვითარებას, ჩვენი პარტიის წევრებისა და მთელი საბჭოთა ხალხის კულტურული დონის განუხრელ ზრდას. უეჭველია, რომ უახლოეს წლებში მეექვსე ხუთწლედის ამოცანების განხორციელების შედეგად საბჭოთა ადამიანების კულტურული დონე კიდევ უფრო ამაღლდება.

მონაცემები, თუ როგორია დელეგატთა შემადგენლობა პარტიული სტაჟის, აგრეთვე ასაკის მიხედვით, მოწმობენ, რომ მეტი წილი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში პარტიული ძალების შერჩევისა და განაწილების დროს ზრუნავენ ძველი და ახალგაზრდა კადრების შეხამებისათვის, ახალ მუშაკთა გაბედული დაწინაურებისათვის და ძველი კადრებისადმი სათუთი მოპყრობისა და მათი მრავალი წლის გამოცდილების გამოყენებისათვის.

გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე დელეგატთა შემადგენლობაში ერთ მეხუთედ ნაწილზე მეტი (20,3 პროცენტი) არის 40-მდე წლისა, 40-50 წლისა — 55,7 პროცენტი, 50 წელზე მეტი ხნისა — 24 პროცენტი.

პარტიის ყრილობის დელეგატთაგან დაახლოებით 500 კაცი ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დაწინაურებულ იქნა უფრო პასუხსაგებ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე. ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან კადრებს, რომლებმაც გამოიარეს არალეგალური რევოლუციური ბრძოლისა და სამოქალაქო ომის წლების მკაცრი სკოლა, რასაც მკაფიოდ მოწმობს ის, რომ ჩვენს ყრილობაზე არჩეული არიან უძველესი ლენინელი ბოლშევიკები, ბრძოლაში გამოწრთობილი ბოლშევიკური გვარდიის სახელოვანი წარმომადგენლები. კომუნისტები და ყველა საბჭოთა ადამიანი წმიდად იცავენ ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის დიად რევოლუციურ ტრადიციებს.

ყრილობას ესწრება 22 დელეგატი, რომლებიც პარტიაში შევიდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, 60 დელეგატი, რომლებსაც პარტიული სტაჟი აქვთ 1917 წლიდან 1920 წლამდე. ყრილობის სხვა დელეგატები პარტიული სტაჟის მიხედვით ასე ნაწილდებიან: 1921-დან 1930 წლამდე — 24,9 პროცენტი; 1931-დან 1940 წლამდე — 34 პროცენტი; 1941-დან 1945 წლამდე — 21,6 პროცენტი; 1946 წლიდან და უფრო გვიან — 13,4 პროცენტი.

საჭიროა შევეხოთ საკითხს, თუ რამდენია ქალი ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაში. ყრილობის დელეგატთა შორის არის გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე 193 ქალი, ანუ დელეგატთა საერთო რიცხვის 14,2 პროცენტი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე იყო 12,3 პროცენტი ქალი, XVIII ყრილობაზე — 9,1 პროცენტი. ქალები ყველაზე მეტია შემდეგი ორგანიზაციების დელეგატთა შემადგენლობაში: ივანოვოსი — 41,7 პროცენტი, რიაზანისა — 30 პროცენტი, აზერბაიჯანისა და თათრეთისა — 23 პროცენტი. იმასთან დაკავშირებით; რომ გაძლიერდა ქალთა აქტივობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და საწარმოო საქმიანობაში, ქალთა რაოდენობა გადიდდა პარტიის რიგებში. ბევრ ქალს პასუხსაგები თანამდებობა უკავია პარტიულ და სახელმწიფო აპარატში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ჩვენს პარტიაში სულ არის 1.414.456 ქალი. მათი რაოდენობა პარტიაში XIX ყრილობასთან შედარებით გადიდდა 95.488 კაცით, ხოლო XVIII ყრილობასთან შედარებით — 1.080.635 კაცით.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალების დაწინაურების საქმეს. მხოლოდ ამით იხსნება ის ფაქტი, რომ როსტოვის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელშიც არის გადამწყვეტი ხმის მქონე 15 დელეგატი, მარტო ერთი ქალია, ხოლო კომუნისტი ქალების საერთო რაოდენობა ამ ორგანიზაციაში 12.748-ს შეადგენს. სომხეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციაში 14 დელეგატიდან მარტო ერთი ქალია, სომხეთის პარტიულ ორგანიზაციაში კი სულ 14.876 ქალია.

ამხანაგებო, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა თქვა: „ეჭვი არ არის, რომ მუშა და გლეხ ქალთა შორის ბევრად იმაზე მეტია, ვიდრე ეს ჩვენ ვიცით, **ორგანიზატორული ტალანტი**, ადამიანები, რომელთაც აქვთ უნარი მოაგვაროს პრაქტიკული საქმე...“ ეს საკმაოდ დამაჯერებლად არის ნათქვამი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენებაშიც. ლენინის ამ მითითების დავიწყება არ შეიძლება.

ნება მიბოძეთ მოგახსენოთ სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატთა შემადგენლობა.

ყრილობისათვის სათათბირო ხმის უფლებით არჩეული 81 დელეგატიდან 19 პარტიული მუშაკია, 57 მუშაობს საბჭოთა დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში. 50 დელეგატზე მეტს აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, 10 დელეგატს — საშუალო განათლება.

პარტიული სტაჟის მიხედვით სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატები ასე არიან განაწილებული: 1920 წლამდე — 3,6 პროცენტი; 1921-დან 1930 წლამდე — 11,1 პროცენტი; 1931-დან 1940 წლამდე — 24,7 პროცენტი; 1941-დან 1945 წლამდე — 30,9 პროცენტი; 1946 წლიდან და უფრო გვიან — 29,7 პროცენტი.

* * *

ამხანაგებო!

XX ყრილობის დელეგატთა შემადგენლობის შესახებ მოყვანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა, გამდიდრდა მშრომელთა მასების, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ახალი გამოცდილებით, განუხრელად აუმჯობესებს თავის მუშაობას პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპის საფუძველზე. პარტია მზრუნველობით ზრდის და აწინაურებს სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორთა მრავალრიცხოვან კადრებს, რომლებსაც შეუძლიათ სათავეში ჩაუდგნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ ტექნიკურ პროგრესს.

ახლანდელი ყრილობა მკაფიოდ გამოხატავს პარტიის რიგების მონოლითურ დარაზმულობას, პარტიის ძალისა და ავტორიტეტის განუხრელ ზრდას, მისი ბრძოლისუნარიანობის, მზადყოფნის და იმ უნარის ამაღლებას, რომ გაუძღვეს მასებს კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ. კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხალხს ახალი საქმეებისათვის, ახალი გმირობისათვის აღაფრთოვანებენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები. (ტასი).

კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის—ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის—ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

* * *

ამხანაგ ა. ი. პირიჩენკოს სიტყვა

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში მოცემულია საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, შეჯამებული შედეგები დიდი ისტორიული გამარჯვებებისა, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ცენტრალური კომიტეტის ანგარიში გამსჭვალულია ღრმა თეორიული შინაარსით, მასში მეცნიერულად დასაბუთებულია თანამედროვე ისტორიულ პირობებში კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, თვითკრიტიკულად შეფასებულია ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა, მხილებულია ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახულია მათი აღმოფხვრის გზები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გააშუქა საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებისა და განვითარების ყველა ძირითადი მხარე, დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა — ნამდვილად გრანდიოზული, ნამდვილად დიადი პროგრამა.

ეცნობა რა ჩვენი პარტიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს, საბჭოთა ხალხი ხედავს და ყოველდღიურად რწმუნდება, რომ კომუნისტურ პარტიას ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით განუხრელად მიჰყავს ჩვენი სამშობლო ლენინური გზით, კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში აქსოვს მთელ თავის რევოლუციურ ენერგიას, ნებისყოფას, ორგანიზატორულ ნიჭს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის წარმატებანი საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავენ კომუნიზმისათვის ჩვენი ბრძოლის შედეგს. „ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით, — ამბობდა ილიჩი, — ამ სარბიელზეა გადატანილი. თუ ჩვენ ამ ამოცანას დავაფუძნებთ, მაშინ ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით უცილობლად და საბოლოოდ მოვიგებთ. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება“ (ტ. 32, გვ. 556).

XIX ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი საგულისხმოა სწორედ გრანდიოზული სამეურნეო ამოცანების, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების დაყენებით და თანმიმდევრული შესრულებით.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

საანგარიშო მოხსენებაში ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი წარმატებანი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის დარგში. ხოლო თუ ვილაპარაკებთ სოფლის მეურნეობაზე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ათეულ მილიონობით ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები ახლა პირველად ემსახურება დიდი სარგებლობით ჩვენს ხალხს, და ის, რომ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ მარცვლეულის, ხორცის, რძის, ერბოკარაქისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

საანგარიშო პერიოდს ახასიათებს აგრეთვე ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობა. ცენტრალური კომიტეტი განუხრელად იბრძოდა და იბრძვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, სოციალისტური იდეოლოგიის პოზიციების განმტკიცებისათვის, დაუცხრომლად ზრუნავს კომუნისტებისა და ყველა შრომელთა იდეური აღზრდისათვის.

ეყრდნობა რა თავის მუშაობაში მარქსიზმ-ლენინიზმის დიდ მემკვიდრეობას, ითვალისწინებს რა მეცნიერებისა და პრაქტიკის ახალ მონაცემებს, ახალ ისტორიულ პირობებს, გამოცდილებას, რომელიც შეიძინეს ჩვენმა პარტიამ და ყველა ქვეყნის მოძმე კომუნისტურმა პარტიებმა, ცენტრალური კომიტეტი ავითარებს და ამდიდრებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, გაბედულად და მტკიცედ აყენებს და წყვეტს ყველაზე რთულ საშინაო და საერთაშორისო პრობლემებს.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, მარქსიზმ-ლენინიზმის შე-

მოქმედებითი გამოყენება მკაფიოდ გამოიხატა ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომის თავიდან აცილების შესაძლებლობის, სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმებისა და მთელი რიგი სხვა სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხების შემდგომი ღრმა თეორიული დამუშავებით, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობისათვის.

შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის არსენალში შევა პარტიის XX ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების დებულებანი და ყრილობის გადაწყვეტილებანი, ცენტრალური კომიტეტის იანვრის, ივლისისა და სხვა პლენუმების დადგენილებანი, როგორც კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის საკითხთა ღრმა თეორიული განზოგადების ნიმუში, როგორც დიდი თეორიული და ეკონომიური მნიშვნელობის საპროგრამო დოკუმენტები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობიდან XX ყრილობამდე განვლილ პერიოდში კიდევ უფრო მჭიდრო გახდა პარტიისა და ხალხის ერთიანობა, კიდევ უფრო განმტკიცდნენ ჩვენი სამშობლოს ისეთი საუცხოო ძალები, როგორიც არის მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, საბჭოთა ხალხების დაძმობა მეგობრობა, კიდევ უფრო განმტკიცდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა, ამაღლდა ადამიანთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

განუწყვეტლივ განამტკიცებს რა თავის კავშირს მასებთან, ჩვენი პარტია ზუსტად გამოხატავს იმას, რაც შეგნებული აქვს, რაც სურს და რასაც ესწრაფვის საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ხალხის ნების, მისი ძირეული ინტერესებისა და მისწრაფებების ახალი გამოხატულებაა პროექტი დირექტივებისა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ეს ისტორიული პროგრამა უზრუნველყოფს საბჭოთა ქვეყნის, ყველა მისი ეროვნული რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ სწრაფ აღმავლობას.

ამხანაგებო! ჩვენ ყველანი ვხედავთ და უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენმა პარტიამ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი რიგების ერთიანობა, გააძლიერა თავისი ბრძოლისუნარიანობა გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში, ვხედავთ, თუ რა მტკიცედ და თანმიმდევრულად ხორციელდება პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა.

ცენტრალური კომიტეტი თავის მრავალფეროვან საქმიანობაში განუხრელად ახორციელებდა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპს. ეს ძალას აძლევდა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს სწორად და დროზე განესაზღვრა თავისი საარსებო, საჭირბოროტო ამოცანები და პარტიისა და ხალხის მთელი ძალღონე მოეხმარებინა ამ ამოცანებისათვის.

გაიზარდა ცენტრალური კომიტეტის ორგანიზატორული როლი. ცენტრალური კომიტეტი განუწყვეტლივ განამტკიცებდა შემუშავებულ პოლიტიკურ ხაზს ბეჯითი და გულმოდგინე ორგანიზატორული მუშაობით. საკვირაოა, ამხანაგებო, პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი პარტიის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყველა რგოლში ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლება ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი იყო ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში ძირითადი საკითხების გადაჭრისას.

ცენტრალურმა კომიტეტმა აგრეთვე დიდი აქტივობა და ენერგია გამოიჩინა ბრძოლაში ჩვენი საგარეო პოლიტიკის განხორციელების ლენინური პრინციპების გამარჯვებისათვის. საგარეო პოლიტიკის ბევრი ძალიან დიდმნიშვნელოვანი საკითხი ბრწყინვალედ გადაიჭრა. მე მხედველობაში მაქვს საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის არანორმალური, არაჯანსაღი ურთიერთობის ლიკვიდაცია, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ცნობილი საკითხები.

მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში ბრწყინვალე ფურცლად შევა დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენელთა გამგზავრება ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში. დღემდე არც ერთ ისტორიულ ეპოქას არ ახსოვს მაგალითი, რომ სახელმწიფო მოღვაწეებს ისე გულახდილად ელაპარაკნათ ასეულ ათასობით და ათეულ მილიონობით ადამიანებთან პრობლემებზე, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროგრესული კაცობრიობის ბედისათვის, როგორც ამას აკეთებდნენ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი. (ტასი).

საერთაშორისო ვითარების რთულ პირობებში დროის მკირე მონაკვეთში ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ უდიდესი წვლილი შეიტანეს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში, სოციალისტური ბანაკის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, ბანაკისა, რომელსაც სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

კომუნიზმი დადგა მთელი კაცობრიობის დღის წესრიგში. სოციალიზმი ზედიზედ იმარჯვებს სხვადასხვა ქვეყანაში. სრულდება ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომ ყველა ერი მივა სოციალიზმთან, ხოლო კაპიტალიზმი დაიღუპება და მისი გადარჩენა დაღუპვისაგან არ შეუძლია არავითარ ძალას.

ამხანაგებო, უკრაინელი ხალხი, უკრაინის კომუნისტური პარტია, რომლებმაც კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმეს თავიანთი რიგები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომლებიც ერთგული არიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა, თავიანთი სამშობლოსათვის დიდი პატრიოტული სიამაყის და დიადი სოციალისტური გარდაქმნებისათვის კომუნისტური პარტიისადმი დიდი მადლობის გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. საბჭოთა უკრაინის მშრომელები პარტიის ყრილობას შეხვდნენ ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

წარმატებანი, რომლებსაც უკრაინის კომუნისტურმა პარტიამ და უკრაინელმა ხალხმა მიაღწიეს უკანასკნელ წლებში, ცნობილია, ამიტომ მინდა შევჩერდე უკრაინის სსრ ეკონომიური და კულტურული განვითარების მხოლოდ ზოგიერთ მხარეზე.

უკრაინას აქვს დიდი სამრეწველო, ნედლეული და ენერგეტიკული რესურსები და დიდი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში. ამჟამად უკრაინა იძლევა ქვანახშირის საკავშირო

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის — ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხანაგ ა. ი. პირიჩენკოს სიტყვის გაგრძელება

ამოღების 32 პროცენტს, თუჯის თითქმის ნახევარს, ფოლადისა და ნაგლინის 37 პროცენტს, რკინის მადნის თითქმის 60 პროცენტს, მანქანების საკავშირო წარმოების მეოთხედზე მეტს.

დონბასის მეშახტეები ახლა ქვანახშირს იღებენ ხუთჯერ და უფრო მეტს, ვიდრე 1913 წელს. ამავე პერიოდში თუჯის წარმოება გადიდდა თითქმის ექვსჯერ, ხოლო ფოლადისა და ნაგლინისა — ექვსჯერ და მეტად. ფართო განვითარებას მიაღწია რესპუბლიკაში მანქანათმშენებელმა და ლითონდამამუშავებელმა მრეწველობამ; მრეწველობის ამ დარგების პროდუქცია ერთად 96-ჯერ გაიზარდა რევოლუციამდელ დონესთან შედარებით.

სამრეწველო წარმოების დონე, რომელიც დასახული იყო მეხუთე ხუთწლიანი გეგმით, უკრაინის სს რესპუბლიკამ ვადამდე — 4 წელიწადში შეასრულა.

გასული ხუთწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგა ქვანახშირის 142 შახტი, 37 ბრძმედი და მარტენის ღუმელი, 18 საგლინავი და მილის დგანი, 7 მანქანათმშენებელი ქარხანა, მთელი რიგი დიდი ელექტროსადგურები და ბევრი სხვა საწარმო.

უკრაინაში შექმნილია მსხვილი ენერგეტიკული ბაზა. ახლა რესპუბლიკა აწარმოებს 15-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე 1913 წელს მთელი მეფის რუსეთი აწარმოებდა.

მძიმე ინდუსტრიის განვითარების წარმატებებმა შექმნა მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი აღმავლობის პირობები.

უკრაინაში სულ უფრო მეტად ფართოვდება სამრეწველო, საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა. სამშენებლო საქმის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილმა დადგენილებებმა. ამხანაგმ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მოხსენებაში ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მშენებლობა უნდა წარმოებდეს ეკონომიურად, არ იყოს ზედმეტობა. მინდა მოვიყვანო ამის ერთი მაგალითი. ჩვენთან უკრაინაში მშენებლობის ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის მხოლოდ ნაწილის გადასინჯვისას გამოვლინდა და აღმოიფხვრა ზედმეტობანი, რომლებიც გამოიხატებოდა სხვადასხვა მორთვა-მოკაზმულობით, 1,6 მილიარდი მანეთი თანხისა. ამ სახსრებით შეიძლება აშენდეს ტიპური პროექტებით დაახლოებით 450 სკოლა ან 1 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

დიდი ეფექტი მოგვცა სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილებამ.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებებს და პარტიისა და მთავრობის სხვა ცნობილ გადაწყვეტილებებს, უკრაინის კოლმეურნეებმა, მექანიზატორებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა გაადიდეს უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. შარშან რესპუბლიკაში გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, მზესუმზირას, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების წარმოების გეგმები.

სამინდი, რომლის უპირატესობა ახლა საყოველთაოდ ცნობილია, უკრაინაში გახდა ერთ-ერთი წამყვანი მარცვლეული კულტურა. მისი ფართობების მნიშვნელოვანი გადიდების მეოხებით რესპუბლიკაში ბევრად გაიზარდა მარცვლეულის საერთო მოსავალი და მეცხოველეობისათვის საკვების მარაგი.

უკეთ, ვიდრე ოდესმე, უკრაინის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაართვეს თავი შაქრის ჭარხლის წარმოებას. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 202 ცენტნერი. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ჰექტარი ჭარხლისაგან გამომუშავებული იქნება 156 ფუთი შაქარი. ხოლო რესპუბლიკაში ჭარხლის ფართობი შარშან შეადგენდა 1 მილიონ 92 ათას ჰექტარს.

უკრაინაში დასახულია სიმინდისა და შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობების შემდგომი გადიდება.

მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდებამ უკრაინის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობა მისცა არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შეესრულებინათ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმები. უკრაინამ გეგმის გადამეტებით ჩაბარა 160 მილიონ ფუთზე მეტი პური. მარტო ხორბალი ჩაბარდა სახელმწიფოს 396 მილიონი ფუთი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებთ შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მზესუმზირას, სელის, კანაფის, ხილის, ბოსტნეულის, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების ჩაბარების გეგმები.

მიღწეულია პირველი შესამჩნევი წარმატებანი მეცხოველეობის ჩამორჩენის დაძლევასა და მისი პროდუქტიულობის გადიდებაში. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1955 წელს გადაჭარბებით შეასრულეს რძის, ხორცის, მატყლის, კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მეტი ჩაბარდა ეს პროდუქტები, ვიდრე წარსულ წლებში.

გადიდდა კოლმეურნეთა შრომადღის ნატურალური და ფულადი ანაზღაურება.

რესპუბლიკის საწარმოო ძალების სწრაფი განვითარების შედეგად განუხრელად მაღლდება მთელი უკრაინელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. ხალხი სულ უფრო უკეთ და უკეთ ცხოვრობს.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო და სპეციალურ სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ახლა დაახლოებით 7 მილიონი კაცი სწავლობს. ამჟამად უკრაინაში ყოველ 10 ათას მცხოვრებზე მარტო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს 180 კაცი, ესე იგი მეტი, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში.

კულტურული რევოლუციის უდიდესი მონაპოვარია სახალხო ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრების შექმნა. წარმატებით ვითარდება უკრაინული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება.

უკრაინა ასეთი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების განმტკიცების შედეგად, იმის მეოხებით, რომ იგი თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფოა, ცხოვრობს ყველა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მომძმე ხალხებთან კავშირითა და მეგობრობით, ასეთი გახდა იმის შედეგად, რომ ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა კომუნისტური პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საანგარიშო მოხსენებაში თქვა, რომ ჩვენმა პარტიამ ყველაფერი გააკეთა და კვლავაც ყველაფერს გააკეთებს, რათა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკა, რათა კიდევ უფრო აყვავდეს ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური მათი კულტურა.

უკრაინელი ხალხი თავის აღმშენებლობის შრომაში ყოველდღიურად ეყრდნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს დახმარებას.

ახლა შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ახდა ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც მან გამოთქვა საბჭოების სრულიად უკრაინის ყრილობისადმი მისალმებაში მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის წინ — 1921 წელს იმის შესახებ, რომ უკრაინის მუშები და მშრომელი გლეხები განმტკიცებენ „უკრაინის რესპუბლიკას, ყოველგვარი დაბრკოლებისა და მტრების ოინების მიუხედავად“ (ტ. 32, გვ. 171).

უკრაინის სამეურნეო, ჰოლიტიკური და კულტურული აყვავება ასახავს ხალხთა მეგობრობის შესახებ პარტიის იდეის სიდიადეს. თითქმის ოთხი ათეული წლის წინათ უკრაინელი მუშებისა და გლეხებისადმი წერილში ლენინმა უანდერძა რუსეთისა და უკრაინის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს იცხოვრონ ეამიდროესი მეგობრობით „...და მთელი მსოფლიოს მშრომელებს დაანახვონ სხვაღასხვა ერის მუშებისა და გლეხების მართლაც მჭიდრო კავშირის მაგალითი...“ (ტ. 30, გვ. 353). უკრაინის, ისევე როგორც რუსეთის ფედერაციის კომუნისტები, ყველა მშრომელი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, წმიდად ასრულებენ ლენინის ამ ანდერძს. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა მტკიცეა, როგორც სალი კლდე, და ღირსეული მაგალითია მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. (ტაში).

რა თქმა უნდა, ყველას როდი მოსწონს უკრაინელი ხალხის ძმური კავშირი და მჭიდრო მეგობრობა ყველა საბჭოთა ხალხთან, საბჭოთა უკრაინის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარება. მხედველობაში მყავს პირველ რიგში უკრაინელი ხალხის მტრები. საზღვარგარეთ. ისინი ვერასგზით ვერ შერიგებიან იმას, რომ საბჭოთა უკრაინა მიუწვდომელი გახდა იმისათვის, რომ იგი ძარცვონ იმპერიალისტმა დამპყრობლებმა და მათმა დაქირავებულებმა — უკრაინელმა ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, რომლებიც გაექცნენ ხალხის რისხვას და თავშესაფარი ჰპოვეს ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

შედარებით ცოტა ხნის წინათ ნიუიორკში გამოვიდა სიცრუით, ცილისწამებითა და უცნაური მონაჭორებით აღსავსე წიგნაკი „XX საუკუნის უკრაინა“. იქ ნათქვამია, რომ უკრაინის მრეწველობამ 1951 წელს ძლიერ მიაღწია 1912 წლის დონეს და აწარმოებს მხოლოდ ნახევარფაბრიკატებს, ხოლო დნეპრჰესი თითქოს უკრაინისათვის მარტო პროპაგანდისტული სიმბოლო იყოს, რადგან დნეპრჰესის გამომუშავებულ მთელ ელექტროენერგიას მოსკოვს აძლევენ (გამოცოცხლება დარბაზში).

ამ ლაყბობის ავტორია ძველი ამერიკელი მზვერავი, საბჭოთა კავშირზე ცილისწამების სპეციალისტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ვინმე კლარენს მენინგი. როგორც ხედავთ, სიცრუეში რომ შეტოპა, მან დნეპრჰესიდან მოსკოვში გაიყვანა ელექტროგადაცემის ხაზი, რომელიც, როგორც ცნობილია, ბუნებაში არ არსებობს. ცხადია, თავისთავად ეს ფალსიფიკატორი ყურადღების ღირსი არ არის, სიმართლეს მისგან არ უნდა ველოდეთ. ღორს ბულბულის გალობა არ შეუძლია. (სიცილი, ტაში). მაგრამ რატომ ასე გაბოროტებით უყეფს იგი უკრაინელ ხალხს? თურმე იმიტომ, რომ შეასრულოს თავისი ბატონების დაკვეთა. თავისი ნაყალბევის დასასრულს იგი მოუწოდებს ამერიკის იმპერიალიზმს დასავლეთელ პარტნიორებს ჩამოაშორონ უკრაინა საბჭოთა კავშირს.

უკრაინული ანდაზა ამბობს — „ძაღლს შეუძლია უყეფოს მთვარესაც. ეს მთვარეს ვერ დააბნელებს“. (სიცილი). უკრაინელმა ხალხმა კარგად იცის, რომ მან მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროშით ჰპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა და რომ საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში იგი უძლეველია, მას ვერ შეაშინებს მტრების ვერავითარი ოინი.

უკრაინის მშრომელებმა აგრეთვე კარგად იციან, რომ უკრაინის სახალხო მეურნეობა, მეცნიერება და კულტურა უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავა. ამ მომავალს ისინი ნათლად ხედავენ მეექვსე ხუთწლედის გეგმებში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად გეგმებში.

ახლანდელ ხუთწლედში უფრო მძლავრად განვითარდება უკრაინის სსრ საწარმოო ძალები. მნიშვნელოვნად გადიდდება ქვანახშირის ამოღება, თუჯის, ფოლადის გამოდნობა, ნაგლინის, მანქანებისა და მძიმე ინდუსტრიის სხვა პროდუქციის წარმოება. ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკას შეემატება მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის ახალი დიდი საწარმოები. ახალი ელექტროსადგურები. მარცვლეულის საერთო მოსავალი უკრაინაში 1960 წელს გადიდდება 2,1 მილიარდ ფუთამდე. მკვეთრად გაიზრდება შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

ჩვენი რესპუბლიკის წინაშე განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას ხორცისა და რძის წარმოების გადიდების დარგში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების ამოცანა ერთ-ერთი უადრესად ძნელი და ამავე დროს ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა, რომელიც პარტიის წინაშე დაისახა ამ უკანასკნელ ხანს.

მინდა რამდენადმე უფრო დაწვრილებით შევეხო იმას, თუ როგორ წყდება ეს საკითხი უკრაინაში. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, როცა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით განიხილავდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებათა შესრულების ღონისძიებებს, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, არსებული რეზერვები და გადაწყვიტეს, რომ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ოდენობა, რომელიც პლენუმმა რესპუბლიკას 1960 წლისათვის დაუსახა, შეასრულონ ვადაზე 2-3 წლით ადრე, სახელდობრ: რძისა და ღორის ხორცის წარმოებისა — უკვე 1957 წელს, ხოლო მეცხოველეობის დანარჩენ სახეობათა პროდუქციისა — 1958 წელს. ჩვენ სწორედ ეს დავალებანი შევიტანეთ ახალ ხუთწლედში. თუ რამდენად დიდი და პასუხსაგები ეს დავალებანი, ჩანს ასეთი მონაცემებიდან: 1960 წელს უკრაინაში წარმოებული იქნება ხორცის წარმოების საერთო საკავშირო მოცულობის დაახლოებით 25 პროცენტი, ღორის ხორცისა — დაახლოებით 30 პროცენტი და რძისა 23 პროცენტი.

თუ მთელ ჩვენს ქვეყანაში დასახულია, რომ ხუთწლედის დამლევისათვის ხორცის წარმოება ერთიორად გადიდდეს, უკრაინის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკვე მიმდინარე 1956 წელს გასულ წელთან შედარებით გააორკეცებენ ხორცის წარმოებას, ხოლო ღორის ხორცის წარმოება სამჯერ გადიდდება. (ტაში).

ხუთწლედის დამლევისათვის კი ხორცის წარმოება 1955 წელთან შედარებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდება 3,1-ჯერ, ხოლო ღორის ხორცისა — 4,4-ჯერ, აქედან კოლმეურნეობებში — თითქმის 6-ჯერ.

ხორცის წარმოების ასეთი მკვეთრი და სწრაფი გადიდების მიღწევა შეიძლება, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, მხოლოდ მეცხოველეობის განვითარება გზით. და ეს მართალია, რადგან მეცხოველეობის ეს დარგი ყველაზე მალემზარდია.

თუ წარსულში რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელიწადში დაახლოებით 2 მილიონ ღორს ასუქებდნენ, უკვე მიმდინარე 1956 წელს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები 8 მილიონამდე ღორს გასუქებენ.

მაგრამ ამისათვის ჩვენ არ გვყავს სულადობის საჭირო რაოდენობა. ამიტომ 1956 წელს, გარდა ერთი მილიონი ძირითადი დედაღორისა გამოყენებულ იქნება სულ ცოტა 700 ათასი ერთჯერადი დედაღორი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ 14 მილიონი გოჟი. ამასთან, დანერგავენ რა დედაღორების ზამთარში და გაზაფხულზე ერთდროულად დაგოჟიანებას, რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წლის პირველ ნახევარში მიიღებენ სულ ცოტა 70 პროცენტ ნამატს, რომელსაც გაზრდიან იაფი საზაფხულო საკვებით, ხოლო მოსავლის აღების შემდეგ გაასუქებენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად არ ჰყოფნით ღორების, გასასუქებელი სადგომები. ამასთან დაკავშირებით უკვე ახლა რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა ნახევრადღია ტიპის საღორეების მშენებლობა, რომლებსაც აქვთ მოედნები ღორების გასასუქებლად. ეს საშუალებას მოგვცემს მოვაწყოთ გასუქება დიდი მასშტაბით და მნიშვნელოვნად გაიაფოს ღორის ხორცის წარმოებას.

ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და დამხმარე მეურნეობაში შემუშავებულია ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ გეგმების უთუოდ შესრულებას, აგრეთვე შემუშავებულია ღორის სულადობის გასაზრდელად დაყენების, გასუქებიდან მოხსნის და სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების თვიური გეგმები.

ღორის ხორცის წარმოების გადიდებასთან ერთად გაუმჯობესდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის გაზრდა და გასუქება, აგრეთვე სახორცედ ფრინველის გაზრდა, მათ შორის წყალმცურავი ფრინველისაც. მეექვსე ხუთწლედში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განზრახულია აშენდეს მეფრინველეობის ბევრი მექანიზებული ფერმა და მეფრინველეობის ფაბრიკა, სადაც ფრინველი გალიებში ეყოლებათ. ამ ფერმებისა და ფაბრიკების მშენებლობა ფართოდ გაჩაღდა; უკვე მიმდინარე წელს აშენდა 200-ზე მეტი ასეთი ფერმა და ფაბრიკა.

უკრაინის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდ მუშაობას ეწევიან რძის წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი გაღიდებისათვის. 1955 წელს წველადობის გეგმა ადგენ-ჭარბებით შესრულდა, თვითეული ძროხის საშუალო წველადობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1954 წელთან შედარებით გადიდდა 217 კილოგრამით, ხოლო რძის. საერთო წარმოება გაიზარდა 919 ათასი ტონით, ანუ 38 პროცენტით. 1956 წელს განზრახულია რძის წარმოების შემდგომი გადიდება. კოლმეურნეობებში მივიღებთ 1,5-ჯერ მეტ რძეს, ვიდრე შარშან. ამ საქმეში უკვე მიღწეულია პირველი შედეგები. ახალი სამეურნეო წლის გასულ ოთხ თვეში საერთო წველადობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთიორად გადიდდა. ხოლო წველადობა საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე გადიდდა 158 კილოგრამით. ამ პერიოდში ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიღებულია 22,5 ცენტნერი რძე.

როგორც ცნობილია, ხორცისა და რძის წარმოების გადიდებაში დიდ მნიშვნელობა აქვს საკვებს. ამიტომ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები 1956 წელს სახავენ გაფართოონ სიმინდის ნათესები კიდევ დაახლოებით 1 მილიონი ჰექტარით, რათა ეს ნათესები აიყვანონ 7 მილიონზე მეტ ჰექტარამდე. დასახულია აგრეთვე საკვების წარმოების სხვა ღონისძიებანი.

დირექტივების პროექტის განხილვისას უკრაინის კომპარტიის XIX ყრილობამ, კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, პარტიული აქტივის კრებებმა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურმა თათბირმა გამოთქვეს ერთსულოვანი მოწონება — ვადამდე შეასრულონ ხორცისა და რძის წარმოების ეს გეგმები.

ამისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხელახლა სინჯავენ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების წინათ შედგენილ გეგმებს, პოულობენ დამატებითს რეზერვებსა და შეაძლებლობებს, ხელახლა დებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებს. ჩვენმა შესანიშნავმა მშრომელებმა — მეცხოველეებმა ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი ხორცისა და რძის წარმოების გადიდებას. ჩვენში, ისევე როგორც, ალბათ, სხვა რესპუბლიკებში, პურის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ერთმანეთს ეჯიბრება ყველა ოლქი, რაიონი, კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა.

სხვათა შორის, მინდა ყურადღება მივაქციო იმას, თუ რატომ არ ეჯიბრებიან ჩვენში ერთმანეთს რესპუბლიკები, ხოლო თუ ზოგიერთები ეჯიბრებიან, არა საჯაროდ. უკრაინის ძალიან ბევრმა კოლმეურნემ, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მოეწყოს შეჯიბრება რესპუბლიკებს შორის.

ხრუშჩოვი. თქვენ ვისთან გსურთ შეჯიბრება?

კირიჩენკო. გიპასუხებთ — უკრაინას შეუძლია შეეჯიბროს რუსეთის ფედერაციას, როგორც ყველაზე დიდი რესპუბლიკები. **(ტაში).** რატომაც არა? ჩვენ შეგვიძლია პირველ რიგში, როგორც მეზობლებმა, შევეჯიბროთ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მეცხოველეობის პროდუქციის, კერძოდ, რძის რაც შეიძლება მეტი გამოსავლის მიღებისათვის. როგორც ცნობილია, რძის წარმოების მკვეთრი გადიდების პირობები რუსეთის სფს რესპუბლიკის ოლქებში ძალიან კარგია!

ხრუშჩოვი. სწორია.

კირიჩენკო. ხორცის წარმოების მხრივ რუსეთის სფს რესპუბლიკას გაუძნელდება უკრაინის სს რესპუბლიკასთან შეჯიბრება, რადგან ჩვენ უკეთესი საკვები ბაზა გვაქვს.

კარგია, რომ ერთმანეთს შეეჯიბრონ სხვადასხვა რესპუბლიკის ოლქები. ვფიქრობ, ამით ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მოიგებს. შეჯიბრებაში შეიძლება ჩაებან სხვა რესპუბლიკებიც. ეს მნიშვნელოვანწილად შეუწყობდა ხელს ახალ ხუთწლედში დასახული დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ხრუშჩოვი. სწორია.

კირიჩენკო. ამხანაგებო! კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანები. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა გამოვიყენოთ მთელი რეზერვები, დავრაზმოთ ყველა მშრომელი, მთელი ჩვენი ხალხი, გავაჩაღოთ მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ შეჯიბრების მნიშვნელობა. შეჯიბრებაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა აღმოაჩინა საბჭოთა საზოგადოების ძლიერი მამოძრავებელი ძალა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეჯიბრება გამოვიყენოთ „ნამდვილად **ფართოდ**, ნამდვილად **მასობრივად**, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყვანილ იქნას მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოაშკარაონ ნიჭი...“ (ტ. 26. გვ. 471).

უკრაინის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც სერიოზულად მუშაობს მარცვლეულის წარმოებას, მეცხოველეობის პროდუქტებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასადიდებლად სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, შარშან ერთგვარ შედეგებს მიაღწია. მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა ათასობით კოლმეურნეობამ, გაიზარდა საკოლმეურნეო წარმოების ათეულ ათასობით ახალი მოწინავე.

ამავე დროს, ვსწავლობთ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებს, ამ დიდ მასობრივ მოძრაობაში ჩვენ გამოვავლინეთ ბევრი არსებითი ნაკლი, რომლებზეც მსურს ვიელაპარაკო, რადგან ეს ნაკლოვანებანი, როგორც ჩანს, სხვა ადგილებშიც არის.

როგორია ეს ნაკლოვანებანი? მთელ რიგ შემთხვევებში შეჯიბრება კაზიონური ხდება, მის ორგანიზაციაში უშვებენ ბევრ შაბლონს, ფორმალიზმს, კამპანიურობასა და არასაჭირო ხმაურს, მიტინგობიას, მე ვიტყოდი, ძალიან, ძალიან ბევრ ნამდვილ ლაყბობას. ვალდებულებებს ხშირად კისრულობენ ფორმალურად, რეალურ, კონკრეტულ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად, რეზერვების გამოყენების გაუთვალისწინებლად. ხოლო რაც მთავარია — ძალიან და ძალიან ხშირად კისრულობენ მეტისმეტად გადიდებულ ვალდებულებებს, რომელთა შესრულება არავის არა სჯერდ. ამასთან ამას მასობრივი ხასიათი მიეცა. ეს იმიტომ ხდება, რომ როცა კისრულობენ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ვალდებულებებს, მით უმეტეს გადიდებულს, მაშინ პარტიული, საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, გაზეთები, როგორც ეს ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, ყოველნაირად ასახამენ ქებადიდებას იმათ, ვინც მაღალ ვალდებულებებს კისრულობს და ის ხელსაყრელი და მოხერხებული ხდება იმათთვის, ვინც ასეთი ვალდებულებანი იკისრა, რადგან ეს ადამიანები, თუმცა მოკლე ხნით. მაგრამ მაინც პოპულარული ხდებიან, ხოლო პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები. ამის მეოხებით, აგრეთვე კარგად და წყნარად ცხოვრობენ. მათ მაინცდამაინც არ აწუხებენ, როგორც ატყვიან. „ზემოდან“, არ აძლევენ შენიშვნებს, რომ ვალდებულებები რამდენადმე შემცირებულია, დაძაბული არ არის, არამედ, პირიქით, ყოველნაირად აქებენ ასეთ ხელმძღვანელებს. და ამით, სხვათა შორის, კარგად სარგებლობს ადგილებზე რაიონებისა და კოლმეურნეობების ზოგიერთი ხელმძღვანელი.

ჩვენს რესპუბლიკაში შევამოწმეთ და აღმოვაჩინეთ მთელი რიგი რაიონები, კოლმეურნეობები, ბრიგადები, რგოლები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე კისრულობენ მაღალ ვალდებულებებს, მაგრამ არასოდეს არ ასრულებენ მათ და არავინ ჯეროვნად არა სთხოვს მათ პასუხს ამისათვის.

როგორც წესი, ვალდებულებებს შეჯიბრებაში კისრულობენ ერთბაშად მთელი წლისათვის. ეს კი იძლევა საბაბს ელოდონ წლის დასასრულს, ყოველდღიურად არ ახდენდნენ გავლენას შეჯიბრების მსვლელობაზე, და მხოლოდ შემდეგში აღნიშნონ შეჯიბრების საბოლოო შედეგები.

ჩვენ ამ ნაკლსაც ვასწორებთ. ახლა ვალდებულებანი, რომლებსაც ერთი წლისათვის კისრულობენ, კონკრეტული ხასიათისაა, განსაზღვრულია ცალკეულ პროცესებში, მუშაობის პერიოდებში — დეკადობით, კვირაობით და სხვ., ესე იგი თვითეული სახეობის სამუშაოს მიხედვით. მაგალითად, მწველავი, როცა ვალდებულებას კისრულობს თვითეულ ძროხაზე წელიწადში ამდენი და ამდენი კილოგრამი რძე მიიღოს, აღნიშნავს, თუ რამდენი რძის მოწველას კისრულობს იანვარში, თებერვალში, მაისში და თვითეულ შემდგომ თვეში ან დეკადაშიც კი, ამასთანავე თვალისწინებს პირობებს და კვების რესურსებს. ეს შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებრიობას არა, მარტო გაუწიოს კონტროლი, თუ როგორ სრულდება ვალდებულება და ამის შესაბამისად გავლენა იქონიოს მის შედეგებზე, არამედ თვით შეჯიბრებულთაც შეუძლიათ თვალყური ადევნონ შეჯიბრების მსვლელობას, დროზე აღმოფხვრან ნაკლოვანებანი. ეს აჩვევს ადამიანებს დისციპლინას, იმას, რომ ნაკისრი ვალდებულებანი უსათუოდ შესრულდეს.

დღემდე ჩვენში ჩვეულებრივად ძლიერი ეჯიბრებოდა ძლიერს, სუსტი — სუსტს, მოწინავე ოლქი ეჯიბრებოდა მოწინავე ოლქს, მოწინავე რაიონი შეჯიბრებისათვის შეარჩევდა თავის ტოლ რაიონს. ასევე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს კოლმეურნეობებიც. იყვნენ აგრეთვე კოლმეურნეობების, რაიონებისა და თვით ოლქების ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც შესაჯიბრებლად მეწყვიტეს ეძებდნენ უფრო სუსტს, როგორც ამბობენ, „უფრო ღარიბს“, დებდნენ მათთან ხელშეკრულებას და უკვე წინასწარ იფშვნეტდნენ ხელებს: „ჩვენ იმას ვუჩვენებთ სეირს, ჩვენ იმას ორივე ბეჭზე დავაწვენთ“. ხოლო დასაწვენი, კაცმა რომ თქვას, არავინ არის. იგი, ეს საბრალო მეწყვილე, უკვე დიდი ხანია წევს, — იგი უნდა ააყენო. (სიცილი). და ეს საკითხები ახლა განხილულია. დაშვებული შეცდომები სწორდება.

სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებში, როგორც წესი, დღემდე სრულიად არ იყო პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებელი. ამ მაჩვენებლებს იღებდნენ მხოლოდ პროდუქციის საერთო გამოსავლის მიხედვით. ეს კი სრულიად არასწორია. უკრაინის პარტიული ორგანიზაციები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ შეჯიბრების ყოველ ხელშეკრულებაში, ყოველ ვალდებულებაში აღინიშნოს, თუ რამდენი შრომადღე დაიხარჯება პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე.

ხშირად უშვებენ შეცდომას შეჯიბრებაში გამარჯვებულთა განსაზღვრისას. იშვიათად როდი ხდება ასე: ერთმანეთს ეჯიბრება ორი კოლმეურნეობა ან რაიონი, ორივემ წელიწადი ცუდი შედეგებით დაამთავრა. არც ერთ მათგანს არ შეუსრულებია არათუ ვალდებულებანი, არამედ გეგმებიც კი, ხოლო მაინც რომელიმე მათგანს აქვს რამდენადმე უკეთესი მაჩვენებლები, და აი მას „მონათლავენ“ შეჯიბრებაში გამარჯვებულად. გამოდის, რომ საქმე ჩაფუშულია, გამარჯვებული კი მაინც არის. (სიცილი).

ახლა ჩვენში დაწესებულია: შეჯიბრებაში გამარჯვებულად მიჩნეულ იქნას მხოლოდ ის კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა ან რაიონი, რომელმაც მთლიანად ან გადაჭარბებით შეასრულა დაწესებული გეგმა და აქვს უკეთესი მაჩვენებლები თავის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

შეჯიბრების ორგანიზაციაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის—ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის—ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხანაგ ა. ი. პირიჩენკოს სიტყვის დასასრული

ლია სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში. საჭირო შემთხვევებში შეჯიბრების ხელშეკრულებანი ხელახლა იდება. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახლა მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებისაგან მოითხოვს, რომ ისინი პირადად მუშაობდნენ შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებზე, უწევდნენ დახმარებას ვალდებულებათა შესრულებაში, ახალისებდნენ მათ, ვინც წინ არის, ავრცელებდნენ მოწინავეთა გამოცდილებას, აწინაურებდნენ ჩამორჩენილებს.

ისეთ მასობრივ, ნამდვილ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში, როგორიც შეჯიბრებაა, შეუწყნარებელია ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი და სხვა დიდი ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი, რომლებიც ასუსტებენ მის ქმედითობას და დიდ შემოქმედებითს ძალას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეჯიბრების საქმეს ახლა უნდა მიექცეს უფრო მეტი, სერიოზული ყურადღება, რადგან იგი უდიდეს როლს შეასრულებს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების რეალიზაციაში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მოწინავე გამოცდილების გამოყენების მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. ამაზე იყო ლაპარაკი საანგარიშო მოხსენებაშიც. მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, მთელმა ჩვენმა ხალხმა ხუთწლედების შესრულების მსვლელობაში ფართოდ გამოიყენეს მოწინავე გამოცდილება.

ყოველივე ახლის, მოწინავის პროპაგანდისათვის სახელმწიფო, ვთქვათ, სოფლის მეურნეობაში ბევრ სახსრებს ხარჯავს. აბა ნახეთ: მილიონიანი ტირაჟებით გამოდის წიგნები, ბროშურები, ასობით კინოფილმი, კითხულობენ ბევრ ლექციას, მოხსენებას, წარმოებს მოწინავეთა მუშაობის მეთოდის ფართო პოპულარიზაცია ჟურნალ-გაზეთებში. მოწინავე კოლმეურნეობებში ეწყობა ბევრი ექსკურსია, კონფერენცია, სემინარი, რომლებზეც მოწინავეები ლაპარაკობენ თავიანთ მოწინავე გამოცდილებაზე. მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისათვის ჩვენ მოვაწყეთ შესანიშნავი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული დიდი ხარჯები, უეჭველია, ნაზღაურდება. მაგრამ ყველგან ისეა თუ არა, როგორც საჭიროა? სამწუხაროდ, ეს სრულიადაც არ არის ასე. ბევრი საოლქო და რაიონული ხელმძღვანელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბრიგადირი, მერგოლური არის ხოლმე მოწინავეებთან, ხედავს ფილმებს, ისმენს ლექციებს, ათვალიერებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს, მათი საქმე კი ძველებურად რჩება, მოწინავე მეთოდებს არ იყენებენ.

ხშირად რა გამოგვიდის პრაქტიკაში? რაიონში არის ორი-სამი მოწინავე კოლმეურნეობა, რომლებიც ქების ღირსი არიან, ხოლო სხვა კოლმეურნეობანი ჩამორჩებიან, ნელა აუმჯობესებენ თავიანთ მეურნეობას. უფრო მეტიც, ბევრ კოლმეურნეობაში არიან ისეთი რგოლები, ბრიგადები, რომლებიც ათეულ წლობით მოწინავეები არიან, ხოლო კოლმეურნეობა როგორც ჩამორჩებოდა, ისევე ჩამორჩენილია. და ეს, სამწუხაროდ, არ აღელვებს რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელს. ისინი წლობით ყველა თათბირზე, სხდომაზე, პლენუმზე, ყრილობაზე, კონფერენციაზე ასახელებენ ერთსა და იმავე მოწინავე კოლმეურნეობებს, იმეორებენ ერთ და იმავე მოწინავეთა გვარებს.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელისათვის წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმე დღემდე არ გამხდარა უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფო მოვალეობად. უამისოდ კი ახლა ვერ ავამაღლებთ ჩვენს მეურნეობას.

უნდა მივაღწიოთ იმას, როგორც ლენინი მოითხოვდა, რომ სანიმუშო მაგალითის გადმოღება ფართოდ წარმოებდეს ყველგან და სავალდებულო ხდებოდეს. სწორედ სავალდებულო საქმე ხდებოდეს და არა ნებაყოფლობითი. ის ხელმძღვანელები, რომლებიც გულგრილობას იჩენენ მოწინავე გამოცდილების დანერგვისადმი, უნდა ვაიძულოთ გამოიყენონ მუშაობის მოწინავე ხერხები და მეთოდები. ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები.

მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმეში ჩვენს რესპუბლიკაშიც გვაქვს ეს და სხვა ნაკლოვანებანი და ახლა სერიოზულად შევუდექით მათს აღმოფხვრას.

წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს უკრაინის კომუნისტური პარტიის ამას წინათ შემდგარი XIX ყრილობის მუშაობაში. ყრილობამ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე დასახა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — 1956 წელი გახადონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილების მასობრივი დანერგვის წლად. კონკრეტულად ეს იმით გამოხატება, რომ თუ რაიონში არიან მოწინავე კოლმეურნეობანი (ისინი კი ჩვენში ყოველ რაიონშია), რაიონის ხელმძღვანელებმა უსათუოდ უნდა გადაიღონ ამ კოლმეურნეობათა მუშაობის მოწინავე მეთოდები და ხერხები რაიონის ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელში. რაიონებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებში არიან მოწინავე რგოლები, სატრაქტორო და მემანდვრეობის ბრიგადები, მეცხოველეობის ფერმები. რაიონის, მტს-ის, კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა უპირველესი მოვალეობაა უზრუნველყონ, რომ მათი მუშაობის გამოცდილების დანერგვით ყველა კოლმეურნეობა, მტს-ი, ბრიგადა, რგოლი აიყვანონ მოწინავეთა დონემდე.

ამხანაგებო! მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების თვითღირებულებაზე. ცნობილია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების სწრაფად გადიდებას, რაც პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირების გადამწყვეტი პირობაა.

მეურნეობის სოციალისტური გაძღოლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალი ხარისხის პროდუქციის მაქსიმუმის წარმოებას სამუშაო ძალისა და მატერიალური სახსრების მინიმალური დანახარჯებით. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი გამარჯვება კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში. როგორც ცნობილია, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება სოციალისტური დაგროვების მთავარი წყარო, ობიექტური აუცილებლობა, სოციალისტური ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებაა.

ამავე დროს ბევრი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკი საკმაო ყურადღებას არ აქცევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. განსაკუთრებით ცუდად არის მოწყობილი ბრძოლა იმისათვის, რომ შემცირდეს შრომისა და მატერიალური სახსრების დანახარჯები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის. კოლმეურნეობათა მთელი რიგი ხელმძღვანელები უყაირათოდ უძღვებიან საზოგადოებრივ მეურნეობას, ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ მოიპოვონ მოსავლიანობის თუ მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლები. ჩვეულებრივ ისინი ანალიზს არ უკეთებენ პროდუქციის თვითღირებულებას და არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა დაუჯდება ეს პროდუქცია სახელმწიფოს ან კოლმეურნეობას, რა უნდა გააკეთონ, რომ იგი უფრო იაფი იყოს. გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ, მაგალითად, პოლტავის ოლქის კოლმეურნეობებში 1954 წელს შრომადღეების დანახარჯები ერთი ცენტნერი მარცვლეულის წარმოებაზე 39 პროცენტით მეტი, შაქრის ჭარხლისა — 20 პროცენტით მეტი, ხორცისა — 6 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე მეზობელ ხარკოვის ოლქში, რომელაც ნიადაგისა და ჰავის ისეთივე პირობები აქვს.

ბევრ კოლმეურნეობაში უკონტროლოდ ხარჯავენ შრომადღეებს, გაბერილია სამმართველო შტატები, რაც მნიშვნელოვნად აძვირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება რომ შეამცირონ, რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში ახლა მიმდინარეობს მუშაობა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შესამცირებლად, წარმოებს გამომუშავების ნორმების გადასინჯვა, ხორციელდება შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

მე შესაძლებლობა არა მაქვს დაწვრილებით შევეხო იმ სახსრების ეკონომიას, რაც მიღებულია ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირებით რაიონებსა და ოლქებში, მაგრამ აღვნიშავ, რომ რესპუბლიკაში დაზოგილი იქნება ასობით მილიონი მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვა, მიწების რაციონალური გამოყენება ქმნის პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყოველ ას ჰექტარზე შრომისა და სახსრების მინიმალური დანახარჯებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრის საკითხებში, ამხანაგებო, არც ჩვენს ეკონომიურ მეცნიერებაშია ყველაფერი რიგზე. როგორც ცნობილია, ბევრი ჩვენი ეკონომისტი უარყოფდა ღირებულების კანონის მოქმედებას კოლმეურნეობებში და მიაჩნდა, რომ ღირებულების კატეგორიის გამოყენება საერთოდ არ შეიძლება პროდუქციის მიმართ, რომელსაც კოლმეურნეობები აწარმოებენ. ამავე დროს ღირებულების კანონის „გამოყენებას, ისევე როგორც მრეწველობაში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო მეურნეობის ეკონომიური წარმოებისათვის. ჩვენ უფლება გვაქვს სერიოზული პრეტენზიები წავუყენოთ ჩვენს აგრარიკოსებს, ეკონომისტებს, საერთოდ ეკონომიურ მეცნიერებას, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის ბევრი აქტუალური საკითხი, უწინარეს ყოვლისა საკოლმეურნეო პროდუქციის წარმოების ხარჯების და თვითღირებულების შემცირების საკითხები, დღემდე არ არის გადაჭრილი.

შრომისა და მატერიალური რესურსების უმცირესი დანახარჯებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების ამოცანის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მტს-ებს. მაგრამ იმის შედეგად, რომ მტს-ების დაფინანსება წარმოებს იმისდა მიუხედავად, შეასრულეს თუ არა მათ ნატურანაზღაურების წესით სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების გეგმა, მტს-ების ბევრი ხელმძღვანელი არ სწვდება ეკონომიკის საკითხებს, არ ანგარიშობს, თუ რა უჯდება სახელმწიფოს ეს პროდუქცია.

მტს-ების ბევრი ხელმძღვანელი გატაცებულია პირობითი ხნულის ჰექტარების რაოდენობით და მხედველობიდან უშვებს მთავარს — პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით მიღებას, არ მუშაობს იმ საკითხებზე, რომ მტს-ებმა შეამცირონ დანახარჯები ცენტნერ საერთო პროდუქციასა და ცენტნერ ნატურალურ საზღაურზე, არ მუშაობს მტს-ების შემოსავლიანობის გადიდების საკითხებზე.

საჭიროა მკვეთრად შემცირდეს სახელმწიფოს დანახარჯები ნატურანაზღაურების წესით მიღებული პროდუქციის ერთეულზე. ეს კი მოითხოვს, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს ტექნიკის გამოყენება, გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მექანიზაცია, უწინარეს ყოვლისა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მემანდვრეობასა და მეცხოველეობაში; უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ მექანიზატორებმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ გამომუშავების ცვლის ნორმები.

აგრეთვე საჭიროა უფრო სწორად და რაციონალურად გამოვიყენოთ მტს-ების უფმეივი კადრები მთელი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გავაიფოთ მანქანების რემონტი და ეკონომიურად ვხარჯოთ საწვავი და სხვა მასალები.

მე ვფიქრობ, რომ ყველა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით ადგილებზე.

ახლა მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმეა კარგი და დროული მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის, რადგან ამით ეყრება საფუძველი მიმდინარე წლის მოსავალს. ამ საკითხს სერიოზულ ყურადღებას აქცევს უკრაინის პარტიული ორგანიზაცია. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ მოამზადონ თესლი, სატრაქტორო პარკი და სხვა მანქანები, შეიტანონ სასუქები, მოამზადონ მასობრივი კადრები თესვისათვის და ნათესების დამუშავებისათვის. მაგრამ მთავარია, უნდა ვთქვა, რომ წელს სიმინდის მთელ ფართობს, და ეს ფართობი იქნება 7 მილიონზე მეტი ჰექტარი, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პირველად დათესავენ მხოლოდ და მხოლოდ დაკალიბრებული თესლით.

ამხანაგებო! უკრაინის კომუნისტები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზსა და საქმიანობას. ეს განსაკუთრებით ამასწინანდელმა პარტიულმა კონფერენციებმა და კომუნისტური პარტიის ყრილობამ, რომლებმაც ცხადყვეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ურყევი დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

მთელი უკრაინელი ხალხი აგრეთვე ერთსულოვნად იწონებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზსა და საქმიანობას. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა, როცა მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავიანთ კრებებზე განიხილავდნენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტს.

საბჭოთა უკრაინის მშრომელები, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული, რომ მათ წინაშე დგას დიადი ამოცანები, არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რათა ღირსეულად იმუშაონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. **(ხანგრძლივი ტაში).**

„ყრილობა დაეუფლა საზოგადოებრიობის უფაართოესი წრეების ფიქრებს“

სოფია, 14 თებერვალი. (საკდესი). ბულგარეთის გაზეთები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, წერს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, დიდი ისტორიული მოვლენა იქნება. ეს არის ყრილობა პარტიისა, რომლის ხელმძღვანელობითაც შეიქმნა მსოფლიოში პირველი დიდი სოციალისტური სახელმწიფო. ეს არის ყრილობა კომუნისტური პარტიისა, რომელმაც პირველმა განახორციელა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სოციალიზმის აშენების შესახებ და ახლა წარმატებით აშენებს კომუნიზმს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, განაგრძობს გაზეთი, განაზოგადებს განვლილი პერიოდის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ გამოცდილებას. შესანიშნავია ის, რომ ყრილობა დაეუფლა მსოფლიოს საზოგადოებრიობის უფაართოესი ფენების ფიქრებს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გიიხსნებოდა, და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მეექვსე ხუთწლედის გარანდიოზული გეგმები. საბჭოთა ხუთწლედებს ყოველთვის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მეექვსე ხუთწლედის შესრულებას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება მთელი კაცობრიობის ბედისათვის, დიდი წვლილი იქნება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმეში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოველი ყრილობა დიდი მოვლენა იყო საერთაშორისო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის ცხოვრებაში. ეჭვი არ არის, რომ XX ყრილობა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ახალი ღრმა ანალიზით გამდიდრებს მას, აღაფრთოვანებს მთელი მსოფლიოს ყველა პროგრესულ ადამიანს.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ სტატიაში „მგზნებარე სალამი დიად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას“ წერს:

„იმ დღეს, როცა იხსნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, ჩვენი ხალხი კვლავ სულით და გულით ამბობს, რომ მზად არის გაამტკიცოს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცხოველმყოფელი მეგობრობა, იბრძოლოს საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ერთად მშვიდობის საქმისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

ჩინეთის პრესა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შესახებ

პეკინი, 15 თებერვალი. (საკდესი). პეკინის გაზეთებმა „უენმინყიბაომ“, „გუანმინყიბაომ“, „გუნყენყიბაომ“ და „ბეიძინყიბაომ“ პირველ გვერდზე დიდი სათაურებით დაბეჭდეს ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შესახებ. [illegible] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის [illegible] ბის [illegible] ბის [illegible] ბ